




საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის



წლის მიმოხილვა
2012-2023





საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საქმიანობის 10 წლის მიმოხილვა
2012-2023 წლები

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

კოსუდგანტი ექსპეტი:

ბესიკ დოდაძე

კვლევა მომზადდა საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. კვლევის შინაარსზე სხუდად პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI) და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

2023



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

USAID საერთაშორისო უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

სარჩევი

შესავალი	5
ძირითადი მიგნებები	6
საქმეთა განაწილება და მომხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნა საკონსტიტუციო სასამართლოში	8
<i>ხევისგჩაცია</i>	8
<i>თავმჯდომარის უფლებამოსილება კოდეგიისთვის/პდენუმისთვის საქმის გადაცემისას</i> ..	12
<i>საქმეთა კოდეგიებისთვის გადაცემა</i>	12
<i>საქმეთა პდენუმისთვის გადაცემა</i>	16
<i>საქმეთა პდენუმისთვის გადაცემა თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე</i>	21
<i>საქმეთა პდენუმისთვის გადაცემა კოდეგიის/მოსამართლის მიერ</i>	26
<i>საქმეთა განაწილება კოდეგიებს შორის</i>	33
<i>მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნა</i>	35
<i>პდენუმი</i>	41
<i>მომხსენებელ მოსამართლეთა ცვლილება</i>	44
საქმის განხილვის ვადები	46
<i>ზოგადი სტატისტიკა</i>	46
<i>საქმეთა განხილვა</i>	47
<i>სახიჯის ხევისგჩაცვიდან ჩანიშნული პიხველი განმწესიიგებელი სხდომები</i>	47
<i>გადაწყვეტილებები</i>	54
<i>გაჭიანუხებუი დავები გადაწყვეტილებიბი გახეშე</i>	59
საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი	59
<i>სამართლებიივი საფუძველები, შეხიევის კიიგეიიუმები და თანამდებობაზე განწესების ..</i> <i>პიოცეღუხა</i>	59
<i>შეხიევის კიიგეიიუმები</i>	59
<i>პაიღამენტიბი მიეხ მოსამართლეთა აიიევა</i>	60
<i>უზენაესი სასამართლოს მიეხ მოსამართლეთა აიიევა</i>	60
<i>პიეზიღენტიბი მიეხ მოსამართლეთა დანიშვნა</i>	61
<i>საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის აიიევა</i>	61
<i>სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების აიიევა</i>	62
<i>საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნიბი აიიევა</i>	63
<i>კოდეგიების შემადგენლობიბი ფოხმიიება</i>	63
საერთო სასამართლოების კონსტიტუციური ნარდგინებები	64

სარჩევი

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წახდგინების სამართლებრივი საფუძვლები	64
მოსამართლის აცილება	77
სამართლებრივი საფუძვლების ანალიზი	69
აცილების საფუძვლები პრაქტიკაში და შესაბამისი შუამდგომლობების სტატისტიკა	69
თვითგანხილების პრეცედენტები	72
დისციპლინური სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ	76
ეთიკისა და დისციპლინური საქმეთა კომისიის დაკომპლექტება	76
საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტის საფუძვლები	77
მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა	78
პენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესი	79
მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა	79
ახსებური პრაქტიკა, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგები და გამოწვევები	80
დასკვნა	82
დანართი 1	84
2012-05/2023 წლებში პირველი კორეგირისთვის გადაცემულ საქმეთა განაწილება მომხსენებელ მოსამართლეებზე	84
2012-05/2023 წლებში მეორე კორეგირისთვის გადაცემულ საქმეთა განაწილება მომხსენებელ მოსამართლეებზე	102
დანართი 2	121
2012-05/2023 წლებში პენუმისთვის გადაცემულ საქმეთა განაწილება მომხსენებელ მოსამართლეებზე	121
დანართი 3	125
2012-05/2023 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჩივრის/წახდგინების ჰეგისტრაციიდან 1 წლის ვადაში მიღებული გადაწყვეტილებები	125
დანართი 4	127
საჩივრები/წახდგინებები რომლის შესახებაც მიღებულია მხოლოდ საოქმო ჩანაწერი ან განჩინება (პენუმისთვის გადაცემის ან შუამდგომლობის შესახებ)	127
დანართი 5	131
ჰეგისტრირებული საჩივრები/წახდგინებები, რომელთა შესახებაც ახ ახის მიღებული სასამართლოს აცხვითი აქტი, თუმცა ჩატახდა განმწესხიგებელი სხდომა ან ედოლება განმწესხიგებელი სხდომის ჩატახებას და ჰეგისტრაციიდან გავიდა სუდ ცოტა 9 თვე	131

შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის მოთხოვნათა და დებულებათა ჯეროვან შესრულებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, არაერთხელ გახდა საზოგადოებრივი დისკუსიის საგანი. ჩამოყალიბებული პრაქტიკა და კონსტიტუციური ნორმების განმარტება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე, ასევე პოლიტიკურ რეალობაზე. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება და ინსტიტუტები აქტიურად იყენებენ კანონდებლობით გათვალისწინებულ ამ სამართლებრივ ბერკეტს, რათა სახელმინიფო ორგანოთა გადაწყვეტილებები მოაქციონ კონსტიტუციურ ჩარჩოში. საკონსტიტუციო სასამართლოს როლის ზრდა ქართულ სამართლებრივ სივრცეში განსაკუთრებით აშკარაა სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებისას. 1996 წლიდან დღემდე სასამართლოსადმი მიმართვიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში.

ანგარიში მიზნად ისახავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული საქმიანობის წესის შესწავლას, არსებული პრობლემების წარმოჩენას და მათი გადაჭრის გზების მოძიებას. უშუალოდ საქმეთა განხილვის საპროცესო ნორმების გარდა, სხვა რა პროცედურული ნორმები არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში? როგორ ხდება აღნიშნულ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენება და რამდენად უზრუნველყოფს არსებული მოწესრიგება საკონსტიტუციო სასამართლოს ჯეროვან ფუნქციონირებას?

კვლევის საგანს წახმოადგენს:

- *სარჩელთა/წარდგინებათა რეგისტრაციის პროცესი;*
- *საქმეთა კოლეგიებში/პლენუმში განაწილება;*
- *მომხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნის მექანიზმი;*
- *საქმის განხილვის ვადები;*
- *სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი;*
- *საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებები;*
- *მოსამართლის აცილება;*
- *დისციპლინური სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში;*

აღნიშნული საკითხები საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის იმ ნორმათა მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც შეეხება სასამართლოს საქმიანობის წესს. იგი მოიცავს ინსტიტუტის საქმიანობის ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც უზრუნველყოფს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს ჯეროვან ფუნქციონირებას, რათა დაცული იქნას კონსტიტუციის უზენაესობა, კონსტიტუციური კანონიერება და ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

კვლევის მიზნებისთვის გამოყენებული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სარჩელები/წარდგინებები, საოქმო ჩანაწერები, განჩინებები და გადაწყვეტილებები, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია. შეგროვებული მონაცემები დამუშავდა აღწერილობითი, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის გზით. კვლევის მიზნებისთვის ასევე, გამოყენებული იქნა

რელევანტური აკადემიური ლიტერატურა, კვლევები, სახელმწიფო ინსტიტუტთა და მედია სივრცეში გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაცია. ამასთანავე, გათვალისწინებული იქნა საკითხთა ექსპერტთა მოსაზრებებიც.

იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა მოიცავს სასამართლოს 10 წლიანი საქმიანობის ანალიზს იგი წარმოაჩენს ხანგრძლივი პრაქტიკის საფუძველზე საზოგადოებრივი/პროფესიული სივრცეებიდან მივიწყებულ არაერთ პრობლემურ საკითხს. მათ შორის მრავალ განუხილველ საქმეს. კვლევაში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია, საქმეთა სია და კონკრეტულ მოხელეთა საქმიანობა წარმოაჩენს საქმიანობის წესების მნიშვნელობას საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესების გზებს.

ძირითადი მიგნებები

2012-2023 წლის მაისის ჩათვლით საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის წესის და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის საფუძველზე თვალსაჩინო გახდა რამოდენიმე ფაქტორი:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ რეგისტრირებულ სარჩელებსა და წარდგინებებს შორის არ იძებნება 327 სარჩელი/წარდგინება (აქედან 321 სარჩელი ერთ საქმეშია გაერთიანებული);
- თავმჯდომარის წინადადებით, კოლეგიის განჩინებით ან მოსამართლის შუამდგომლობით საქმის პლენუმისთვის გადაცემისას არ ქვეყნდება თავმჯდომარის დასაბუთებული წინადადება და მოსამართლის შუამდგომლობა, რაც წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს;
- 2012-2017 წლებში საქმეთა კოლეგიებს შორის განაწილების პროცედურა იყო არათანაბარი და არათანმიმდევრული. 2018 წლიდან აღნიშნული პროცედურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.;
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მომხსენებელი მოსამართლის ცვლილების მკაფიო პროცედურას. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებულია თუ რა საფუძველით შეიძლება შეიცვალოს მომხსენებელი მოსამართლე რეგლამენტში განერილი არ არის თუ როგორ შეირჩევა ახალი მომხსენებელი მოსამართლე;
- საქმეთა განხილვის ვადის გახანგრძლივება დასაშვებია 2 თვის ვადით მხოლოდ “განსაკუთრებულ შემთხვევაში”. განსაკუთრებული შემთხვევის მნიშვნელობა კანონით განსაზღვრული არ არის; დადგენილი 9 თვიანი ვადა შეეხება მხოლოდ სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვას. კანონი არ ითვალისწინებს სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის ვადას, სარჩელთან ერთად დაყენებული შუამდგომლობის განხილვის ვადას და საქმის გადაწყვეტის ვადას;
- საშუალო სტატისტიკური მონაცემებით საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლო ჯამში 23 თვე განიხილავს საქმეს. მედიანური მონაცემებით საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლო ჯამში 17 თვე განიხილავს საქმეს;
- სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციიდან 1 წლის ფარგლებში საბოლოო გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 25 შემთხვევაში (162 გადაწყვეტილებიდან);

- სარჩელის / წარდგინების რეგისტრაციიდან 3 წლის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 27 შემთხვევაში, აქედან 5 გადაწყვეტილება 5 წლის შემდგომ (162 გადაწყვეტილებიდან);
- საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაშია 97 საქმე, რომელთა შესახებაც მიღებულია მხოლოდ საოქმოდ ჩანაწერი ან განჩინება (პლენუმისთვის გადაცემის ან შუამდგომლობის შესახებ) და სარჩელთა/წარდგინებათა რეგისტრაციიდან გასულია სულ ცოტა 1 წელია;
- საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაშია 69 საქმე, რომელთა შესახებაც არ არის მიღებული სასამართლოს არცერთი აქტი, თუმცა ჩატარდა განმწესრიგებელი სხდომა ან ელოდება განმწესრიგებელი სხდომის ჩატარებას და რეგისტრაციიდან გავიდა სულ ცოტა 9 თვე ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შერჩევისას მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული შერჩევის კრიტერიუმები;
- 69 რეგისტრირებული წარდგინებიდან ყველაზე მეტი - 50 საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის, 4 წარდგინება - ბოლნისის რაიონული სასამართლო, 4 - თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, 4 - თბილისის სააპელაციო სასამართლო მოდის. 3 წარდგინება აქვს გაკეთებული თბილისის საქალაქო სასამართლოს. ხოლო დანარჩენი 4 წარდგინება რუსთავის, ბათუმის და თელავის საქალაქო სასამართლოებს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ეკუთვნის;
- წარდგინებებთან დაკავშირებული 7 გადაწყვეტილებიდან 3 თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ იქნა წარდგენილი, 3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, ხოლო 1 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმიდან მოსამართლის აცილების/თვითგანრიდების 11 შემთხვევაზე მიიღო განჩინება, 6 შემთხვევაში შუამდგომლობა მხარეებმა დააყენეს, ხოლო 5 შემთხვევაში თავად მოსამართლემ მოითხოვა თვითგანრიდება;
- ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე 2012-2022 წლებში 4-ჯერ შეიცვალა, თუმცა უცნობია რა საფუძველით.
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა დისციპლინური სახდელის სახედ მოიაზრებს მხოლოდ თანამდებობიდან გათავისუფლებას.ამდენად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განისაზღვროს დისციპლინური სახდელის განსხვავებული, დისციპლინური გადაცდომის პროპორციული სახეებიც. ასევე, არ არის განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

საქმეთა განაწილება და მოხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნა საკონსტიტუციო სასამართლოში

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განაწილების სკითხი - სისტემის გამჭვირვალობა და მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა მნიშვნელოვანია ინტიტუტის დამოუკიდებლობისა და ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განაწილება ხდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 31² მუხლი განსაზღვრავს სარჩელის რეგისტრაციისა/კონსტიტუციური წარდგინებისა და საქმის განაწილების პროცედურას.

ჩვენსგვარა

კონსტიტუციურ სარჩელს ან წარდგინებას რეგისტრაციაში ატარებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელსაც ევალება რეგისტრაციამდე საქმის მასალების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარის შემოწმება¹. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის თანახმად შემოწმებას სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტი ახორციელებს, რომელსაც ევალება სარჩელის/წარდგინების შეტანიდან 3 დღის ვადაში გამოიკვლიოს წარდგენილი მასალების ფორმალური შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან². ეს მოთხოვნებია:

- კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება შედგენილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ დამტკიცებული შესაბამისი სააპლიკაციო ფორმის მიხედვით³;
- კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება ჩაბარდა საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტს⁴;
- სარჩელს ერთვის მოსარჩელის/მოსარჩელებების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი⁵.
- მხარეთა წარმომადგენლების (ნდობით აღჭურვილი პირების, რომლებსაც მხარეებმა კანონით დადგენილი წესით გადასცეს თავიანთი უფლებამოსილება) რწმუნებულება

1 "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 31², პუნქტი 1.

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 1.

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 11, პუნქტი 1. ზოგადი პროცედურისგან განსხვავებული მოთხოვნებია ჩამოყალიბებული იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო დავა ეხება (1) პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს; (2) საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის ან საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხს; (3) დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე; (4) საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს; (5) საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან (თავი სასამართლო ხელისუფლების შესახებ) ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს. აღნიშნული პროცედურა ჩამოყალიბებულია "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31¹ მუხლში.

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 11, პუნქტი 2.

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 11, პუნქტი 3.

შესაძლებელია დამოწმდეს (1) საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, მხარის მიერ რწმუნებულებაზე სასამართლოს თანამშრომლის თანდასწრებით ხელმოწერის შემთხვევაში; (2) რწმუნებულება შესაძლებელია ასევე შედგენილ იქნეს ელექტრონული დოკუმენტის ფორმით, რომელზეც შესრულებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია ამავე კანონით აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპი⁶ (სანოტარო წესი⁷);

“კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან სარჩელის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საორგანიზაციო დეპარტამენტი უფლებამოსილია, მოსარჩელე მხარესთან, კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან დააბუსტოს სარჩელთან დაკავშირებული საკითხები”⁸. აღნიშნული გულისხმობს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესახებ კონსტიტუციური წარდგინების ავტორებთან ან/და მათ წარმომადგენლებთან კომუნიკაციას რაც შეიძლება მოხდეს როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის ან საფოსტო მომსახურებით. კანონი კომუნიკაციის შესაბამის ფორმას არ ადგენს, შესაბამისად არ ხდება მისი შესაბამისი ფორმით აღწერა (ოფიციალური კომუნიკაციის შესაბამისი ფორმით შენახვა). იმ შემთხვევაში, თუ ფორმალური უზუსტობები არ იქნა აღმოჩენილი ან რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადაში (3 დღეში) არსებული უზუსტობა გამოსწორდა, საორგანიზაციო დეპარტამენტი არეგისტრირებს კონსტიტუციურ სარჩელს/წარდგინებას⁹.

კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ხარვეზიანი სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციის პროცედურასაც. არარასებითი ხარვეზის (ფორმალური უზუსტობის) აღმოჩენის შემთხვევაში, რეგისტრაცია ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით¹⁰. კერძოდ, თუ მისი გამოსწორება შესაძლებელია სარჩელის/წარდგინების არსებითად შეცვლის გარეშე, საორგანიზაციო დეპარტამენტი სარჩელის/წარდგინების შეტანიდან სამი დღის ვადაში მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით¹¹. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მდივანი ვალდებულია გასცეს თანხმობა¹². გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა თუ ფორმალური უზუსტობის გამოსწორება შეუძლებელია სარჩელის/წარდგინების არსებითად შეცვლის გარეშე¹³.

იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი რეგისტრაციაზე თანხმობას განაცხადებს, თანხმობისთანავე, საორგანიზაციო დეპარტამენტი არეგისტრირებს სარჩელს/წარდგინებას. რეგისტრაციის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს / წარდგინების ავტორს ან მათ წარმომადგენელს¹⁴:

- წარდგენილ სარჩელში/წარდგინებაში არსებული ფორმალური უზუსტობების შესახებ;
- მათი აღმოფხვრის აუცილებლობის შესახებ;

6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 11, პუნქტი 4.

7 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 273, პუნქტი 1, ქვეპუნქტი “ბ”.

8 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 1.

9 იქვე.

10 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 1.

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 2.

12 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 2.

13 იქვე & პუნქტი 4.

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 2.

- აღმოუფხვრელობის შესაძლო შედეგების შესახებ.

უზუსტობის გამოსასწორებლად განსაზღვრულია 15 დღიანი ვადა, თუ ამ ვადაში უზუსტობა არ გამოსწორდა, სარჩელისა და წარდგინების რეგისტრაცია უქმდება¹⁵. საორგანიზაციო დეპარტამენტი აუქმებს სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციას, აკეთებს ამის შესახებ აღნიშვნას საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელებისა და წარდგინებების ჟურნალში და დაუყოვნებლივ აცნობებს ამის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს¹⁶. ლოგიკურად ამავე ეტაპზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდიდან უნდა ნაიშალოს საჯაროდ გამოქვეყნებული სარჩელი/წარდგინება, რომლის რეგისტრაციაც გაუქმდა საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ, რადგან რეგისტრირებული სარჩელი/წარდგინება ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე¹⁷. აღნიშნული უნდა მოხდეს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული წესით¹⁸. წესის შინაარსი უცნობია. სავარაუდოდ იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული სარჩელებისა და წარდგინებების აღრიცხვის წესი (ჟურნალი)¹⁹.

იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის/წარდგინების არსებითად შეცვლის გარეშე შეუძლებელია ფორმალური უზუსტობის გამოსწორება საორგანიზაციო დეპარტამენტი არ არეგისტრირებს კონსტიტუციურ სარჩელს, რის შესახებაც იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას²⁰. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანთან²¹. გასაჩივრების ვადა აითვლება საორგანიზაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან და შეადგენს 7 დღეს²². საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს საორგანიზაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ფორმას და პროცედურას. ასევე, არ არის ჩამოყალიბებული იმ მოთხოვნათა ჩამონათვალი რომელიც უნდა მიეთითოს საჩივარში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი მოსარჩელის, წარდგინების ავტორის ან მათი წარმომადგენლის მიმართვიდან 15 დღის ვადაში წყვეტს სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციის საკითხს²³.

2012 წლიდან 2023 წლის მაისის ჩათვლით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 910 სარჩელი და წარდგინება დარეგისტრირდა. თითოეულ შემთხვევაში რთულია იმის დადგენა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვიდან რა ვადაში რეგისტრირდება სარჩელი/წარდგინება, რადგან საჯარო წყაროებზე დაყრდნობით შესაბამისი სტატისტიკის წარმოება შეუძლებელია²⁴.

15 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 1.

16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 3.

17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 6.

18 იქვე.

19 იქვე & ამავე კანონის, მუხლი 8, პუნქტი 1, ქვეპუნქტი “ზ”.

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 4.

21 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 1.

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 5.

23 იქვე.

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული კონსტიტუციური სარჩელები/წარდგინებები ხშირ შემთხვევაში არ შეიცავს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დოკუმენტის ჩაბარების თარიღს ან მოსარჩელის/წარმომადგენლის ხელმოწერის თარიღი რეალურად არ შეესაბამება ჩაბარების რეალურ თარიღს.

თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნის რომ 910 სარჩელიდან/წარდგინებიდან რამოდენიმე საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე საერთოდ არ იძებნება. მაგალითად საქმეები ნომერი:

- 544;
- 1256;
- 1349;
- 1399;
- 1692;
- 1761;

საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად პირველი 5 სარჩელი რეგისტრაციიდან არის მოხსნილი, ხოლო სარჩელ N1761-ზე დაყენებულია შუამდგომლობა პერსონალური მონაცემების/პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის მიზნით მონაცემთა დაფარვის შესახებ და კოლეგიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე სარჩელი არ ქვეყნდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის თანახმად “საქმის განმხილველი სასამართლო ან/და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის მიზნით, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პირის მაიდენტიფიცირებელი/პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების დაფარვის შესახებ”²⁵. უფლებამოსილი პირის მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროცედურა არ ითვალისწინებს დოკუმენტის ვებგვერდიდან აღებას ან გამოქვეყნებაზე უარის განცხადებას. დოკუმენტი იმგვარი ფორმით უნდა გამოქვეყნდეს, რომ არ გამოჟღავნდეს პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ან/და მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული შესაბამისი ინფორმაცია.

საინტერესოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე ასევე არ იძებნება 326 კონსტიტუციური სარჩელისგან შემდგარი საქმის სარჩელთა მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ საქმეში “საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”²⁶, რომელიც შეეხება ფარული მოსმენების კონსტიტუციურობას ხელმისაწვდომია მხოლოდ სარჩელები ნომერი: 885, 928, 929, 931, 1231. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო, შესაბამისად სარჩელთა რეგისტრაცია გაუქმებული არ არის, თუმცა პერსონალური/პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების დაფარვით არცერთი სარჩელი არ არის გამოქვეყნებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით საქმეში ძირითადად ერთი და იგივე სარჩელები იყო გამოყენებული და შესაბამისად, 326 სარჩელიდან მხოლოდ განსხვავებული დოკუმენტები გამოქვეყნდა.

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 33, პუნქტი 1.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმომ ჩანაწერი საქმეზე N3/4/N885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 29.12.2017.

თავმჯდომარის უფლებამოსილება კოდექსისთვის/პლენუმისთვის საქმის გადაცემისას

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმეთა განაწილებისა და მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნის პროცედურაში. იგი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული სარჩელებისა და წარდგინებების აღრიცხვის წესს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად წარუდგენს სასამართლოს კოლეგიების შემადგენლობას, ანაწილებს სარჩელებს პლენუმსა და კოლეგიებს შორის და საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომისთვის ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს²⁷. თითოეული უფლებამოსილება/ფუნქცია გავლენას ახდენს სასამართლოში საქმეთა განაწილების პროცედურაზე.

რეგისტრაციის შემდეგ საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი სარჩელს/წარდგინებას და თანდართულ მასალებს გადასცემს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს²⁸. იგი აფასებს კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლებს, კერძოდ ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლებიდან რომელ საკითხს შეეხება სარჩელი/წარდგინება და ამავე კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე გადასცემს მას შესაბამის კოლეგიას ან პლენუმს. საქმის გადასაცემად თავმჯდომარემ უნდა გამოსცეს შესაბამისი რეზოლუცია²⁹, რისთვისაც მას 7 დღიანი ვადა აქვს³⁰.

2012-05/2023 წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია სამ პირს ეკავა/მოვალეობის შემსრულებელი იყო:

- გიორგი პაპუაშვილი³¹ - 2006 წლის 30 სექტემბრიდან 2016 წლის 21 სექტემბრამდე (მეორე ვადით 2011 წლის 21 სექტემბრიდან);
- ზაზა თავაძე³² - 2016 წლის 20 ოქტომბრიდან 2020 წლის 15 ივნისამდე;
- მერაბ ტურავა³³ - 2020 წლის 25 ივნისიდან დღემდე.

საქმეთა კოდექსისთვის გადაცემა

თავმჯდომარე საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიას გადასცემს, თუ იგი შეეხება³⁴:

- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე - დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 8, პუნქტი 1.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 13, პუნქტი 1.

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 13, პუნქტი 2.

30 "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 2.

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qgGe9s>, 28.05.2023)

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MKZzXR>, 28.05.2023)

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია. (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oDUyIA>, 28.05.2023)

34 "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 21, პუნქტი 2.

- პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;
- საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს;
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს;
- ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით;

სააგნარიშო პერიოდში თავმჯდომარეებმა 1093 სარჩელი გადასცეს პირველ და მეორე კოლეგიებს. კოლეგიისთვის საქმის გადაცემისთვის განსაზღვრული ვადა დაირღვა 39 შემთხვევაში.

სარჩელის რეგისტრაციიდან საქმის გადაცემამდე ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი 28 დღე დაფიქსირდა საქმეში “საქართველოს მოქალაქე აპოლონ გადელია თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ”³⁵. სადავო ნორმა შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის ჩაბარების პროცედურას. კერძოდ, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარებისას თითოეულ სარჩელზე შესაბამისი რიგის ნომერის წარდგენის ვალდებულებას და აკრძალვას ერთი პირის მიერ ერთდროულად რამდენიმე რიგის ნომრის აღების შესახებ. 20 დღიანი პერიოდი დაფიქსირდა საქმეში “ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ”³⁶. დავა შეეხებოდა ახალშობილის მოვლის მიზნით მამის მიერ შვებულებით სარგებლობას და აღნიშნული შვებულების ანაზღაურებას. საქმე თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადაეცა, რომელმაც შემდგომ პლენუმს მიმართა. 7 და 6 დღიანი გადაცილებით კოლეგიებში განაწილებული საქმეები შეეხებოდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დასაშვებობას³⁷ და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში არსებული პირობების შემოწმების მიზნით მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილება ჩატაროს მონიტორინგი პირთა ნების საწინააღმდეგოდ³⁸. აღნიშნულ საქმეებს შორის არ იკვეთება შინაარსობრივი კავშირი ან საქმეთა გაჭიანურების რაიმე აშკარა მოტივი.

ვადის დარღვევით საქმეთა გადაცემის ფაქტები რიგ შემთხვევებში შეიძლება დაკავშირებული იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის საშვებულებო პერიოდთან, მაგალითად ზაზა თავაძემ საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 27 - 28 აპრილს შეტანილი 5 ერთმანეთის თანმდევი საქმე³⁹ შესაბამის კოლეგიებში ვადის

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/9/873, საქართველოს მოქალაქე აპოლონ გადელია თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ, 17.05.2017. (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42awMS1>, 31.05.2023)

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1/2/858, საქართველოს მოქალაქეები - ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, 29.03.2019. (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43ymBrH>, 31.05.2023)

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N2/2/1428, კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 15.07.2021.

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/2/715, ა(ა)იპ „საქართველოს სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვის ლიგა“ თბილისის მერიისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 17.06.2016.


39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N1209 “საქართველოს მოქალაქე გევორგ ბაბაიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, საქმე N1208 “საქართველოს მოქალაქე მამუკა ცაავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, საქმე N1210 “საქართველოს მოქალაქე მანია ზიროვა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ”, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N1212 “საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე

დარღვევით 8 მაისს ერთდროულად გაანაწილა.

თუმცა, უმეტეს შემთხვევაში საქმის გადაცემის ვადის დარღვევის მიზეზი გაუგებარია. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეებმა 39 საქმე არ გაანაწილეს დროულად, აღნიშნულ “პრობლემურ” სარჩელთა რეგისტრაციიდან საქმის შესაბამისი კოლეგიისთვის/პლენუმისთვის გადაცემამდე რეგისტრირებულ სხვა სარჩელები/წარდგინებები ვადის დაცვით გადასცეს შესაბამის კოლეგიებს. ამასთანავე, არცერთი საქმე საბოლოოდ არ გადაეცა პლენუმს და დავათა შინაარსიდან გამომდინარე ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქმეთა გადაცემა გაჭიანურდა კოლეგიის ან პლენუმის მიერ საქმეთა განსჯადობის გადანყვეტის მიზნით.


აღსანიშნავია, რომ ვადის გადაცილებით საქმის კოლეგიისთვის გადაცემის ძირითადი შემთხვევები ფიქსირდება ზაზა თავაძის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში. არცერთი შემთხვევა არ გვხვდება მერაბ ტურავას თავმჯდომარეობის პერიოდში.

გიორგი ჰაპუაშვილმა თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში 272 საქმე გადასცა კოლეგიებს. აქედან ვადა დაირღვა 2 სარჩელის შემთხვევაში.



* X ღერძი აღნიშნავს დღეთა რაოდენობას სარჩელის რეგისტრაციიდან კოლეგიისთვის საქმის გადაცემამდე. ცისფერი სვეტი აღნიშნავს კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით კოლეგიისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობას. წითელი სვეტი აღნიშნავს ვადის დარღვევით კოლეგიისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობას.


ზაზა თავაძემ თავმჯდომარეობის პერიოდში 588 საქმე გაანაწილა კოლეგიებში, საიდანაც 37 შემთხვევაში დაირღვა სარჩელის კოლეგიისთვის გადაცემის ვადა. ერთ-ერთი საქმე⁴⁰ 326 სარჩელს აერთიანებს რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 3 თვიან პერიოდში დარეგისტრირდა. აქედან საქმის კოლეგიისთვის გადაცემის ვადა 9 შემთხვევაში დაირღვა.



* X ლერძი აღნიშნავს დღეთა რაოდენობას სარჩელის რეგისტრაციიდან კოლეგიისთვის საქმის გადაცემამდე. ცისფერი სვეტი აღნიშნავს კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით კოლეგიისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობას. წითელი სვეტი აღნიშნავს ვადის დარღვევით კოლეგიისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობას.

40 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - N885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231.

მერაბ ტურავამ 233 საქმე გადასცა კოლეგიებს, აქედან ყველა კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით გადაიცა (2 საქმის შესახებ მიღებულ სასამართლო აქტებში არასწორადაა კოლეგიისთვის საქმის გადაცემის ან რეგისტრაციის თარიღი მითითებული⁴¹).



* X ღერძი აღნიშნავს დღეთა რაოდენობას სარჩელის რეგისტრაციიდან კოლეგიისთვის საქმის გადაცემამდე. ცისფერი სვეტი აღნიშნავს კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით კოლეგიისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობას. წითელი სვეტი აღნიშნავს ვადის დარღვევით კოლეგიისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობას.

ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკებიდან აშკარაა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეები საქმეს შესაბამის კოლეგიებში ძირითადად სარჩელის რეგისტრაციიდან პირველი 3 დღის განმავლობაში ანაწილებენ. ვადის გადაცილება იშვიათ ხასიათს ატარებს და უმეტესად 1-2 დღეს მოიცავს, თუმცა ზაზა თავაძის შემთხვევაში ადგილი აქვს როგორც ვადის გადაცილების მეტ შემთხვევებს, ასევე უფრო მნიშვნელოვანი პერიოდით გაჭიანურებას.

საქმეთა პლენუმისთვის გადაცემა

თუ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადია თავმჯდომარე ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს პლენუმის სხდომისთვის და საქმეს მას გადასცემს⁴². პლენუმი განიხილავს საქმეს თუ იგი შეეხება⁴³:

- საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს

41 ალბერტ ნურბეგიანი საქართველოს მთავრობის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, 1704. შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1688.

42 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 2.

43 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 21, პუნქტი 1.

პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს;

- დავას რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ;
- საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს;
- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხს;
- დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;
- საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს;
- საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე⁴⁴ მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს;
- საერთო სასამართლოს წარდგინებას;
- ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს.

საქმეს, რომელიც მოიცავს როგორც პლენუმის, ისე კოლეგიის განსჯად საკითხებს თავმჯდომარე გადასცემს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს⁴⁵. ამ პროცედურისთვის ასევე 7 დღიანი ვადაა გათვალისწინებული.

აღნიშნული საფუძვლით საქართველოს პლენუმს 158 სარჩელი გადაეცა, საიდანაც 76 წარდგინებას წარმოადგენდა.

პირველი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა საქმეში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა “პროპორციული საარჩევნო სისტემით გამართული არჩევნების შედეგად გაუნაწილებელი საპარლამენტო მანდატების იმ საარჩევნო სუბიექტთათვის გადანაწილების შესაძლებლობას, რომელთაც პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, შევსების გარეშე მიიღეს 6 საპარლამენტო მანდატზე ნაკლები”⁴⁶. მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 ოქტომბერს მიმართეს, ხოლო საქმე პლენუმს 31 ოქტომბერს გადაეცა. შესაბამისად 7 დღიანი ვადის ნაცვლად საქმე პლენუმს 13 დღეში გადაეცა და მოსამართლე მერაბ ტურავაზე განაწილდა. საქმე არსებითად განსახილველად საკონსტიტუციო სასამართლომ ამავე წლის 16 ნოემბერს მიიღო. აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი

44 საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავი, მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული მუხლები (არ მოიცავს პროკურატურას).

45 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 21, პუნქტი 4.

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმოდ ჩანაწერი საქმე N3/5/853 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 16.11.2016. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1649>, 29.06.2023)

დააფიქსირა მოსამართლე თეიმურაზ ტულუშმა. 2016 წლის შემდგომ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს არავითარი სამართლებრივი აქტი არ მიუღია.

მეორე საქმე შეეხებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას შეაჩეროს მის მიერვე გამოცემული აქტების მოქმედება⁴⁷. მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს 2017 წლის პირველ ივნისს, ხოლო საქმე პლენუმს გადაეცა ამავე წლის 26 ივნისს. შესაბამისად სარჩელის რეგისტრაციიდან 25-ე დღეს. სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

2017 წლის აგვისტოს ბოლოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე მიმართეს სამი განსხვავებული სარჩელით, რომელიც პლენუმს გადაეცა კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით ამავე წლის სექტემბრის დასაწყისში. პირველი სარჩელი⁴⁸ შეეხებოდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ მოწესრიგებას რომლის საფუძველზეც იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებსაც მოსამართლის თანამდებობა ეკავათ არანაკლებ 18 თვისა და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნული იყვნენ კონკურსის წესით. მოსარჩელე იყო ყოფილი მოსამართლე, რომელიც 1995 წელს კონკურსის გარეშე დაინიშნა მოსამართლის პოზიციაზე. მოსარჩელის მოსაზრებით სადავო ნორმა იყო დისკრიმინაციული. მან საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით 29 აგვისტოს მიმართა და საქმე პლენუმს 6 სექტემბერს გადაეცა. შესაბამისად საქმის გადაცემა 1 დღით დაგვიანდა. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო 2018 წლის 30 მარტს (მომხსენებელი მოსამართლეა თეიმურაზ ტულუში). 2018 წლის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმესთან დაკავშირებით სხვა სასამართლო აქტი არ მიუღია. მეორე საქმე შეეხებოდა არჩევნებზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციას არასაარჩევნო პერიოდში⁴⁹. მოსარჩელებმა სასამართლოს 30 აგვისტოს მიმართეს და საქმე პლენუმს 7 სექტემბერს გადაეცა, ასევე 1 დღის დაგვიანებით. 2018 წლის 19 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ განჩინება N3/6/1253-ით საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო. მესამე საქმე შეეხებოდა რეფერენდუმისა და პლებისციტის ჩატარების შესაძლებლობას. კერძოდ, დავა შეეხებოდა რეფერენდუმისა და პლებისციტის ინიცირებისთვის უფლებამოსილ პირთა/საკითხთა დიფერენცირებას და რაიმე საერთო ნიშნით გამორჩეულ პირთა ფარგლებში პლებისციტის ჩატარების შესაძლებლობას⁵⁰. მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს 31 აგვისტოს მიმართა, ხოლო საქმე პლენუმს 8 სექტემბერს გადაეცა, ასევე 1 დღიანი დაგვიანებით.

ბოლო საქმე რომელიც პლენუმს განსაზღვრული ვადის დარღვევით გადაეცა არის საქმე „ა(ა)იპ „აპრიორი“, ა(ა)იპ „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი“ და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N3/5/1233, სს „კაპიტალ ბანკი“, უცხო ქვეყნის საწარმო შპს „ESOL B.V.“ და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ჯილბერტ რიჩარდ არმენტა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 19.10.2018. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1802>, 29.06.2023)


48 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი N3/3/1251, საქართველოს მოქალაქე ნანა წულაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 30.03.2018. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1911>, 29.06.2023)

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება N3/6/1253, საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და ააიპ „ცენტრი მომავლის ინიციატივები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 19.10.2018. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1912>, 29.06.2023)

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმე N3/2/1255 საქართველოს მოქალაქეები - დავით ყიფიანი, ლიანა მჭედლიშვილი და ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 30.03.2018. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1916>, 29.06.2023)

გზა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”⁵¹. მოსარჩელები დავობდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი წევრებისთვის გადაცემული ამომრჩეველთა საბოლოო, ე.წ. სამაგიდო სიის უბანზე მყოფი დამკვირვებლებისთვის ხელმისაწვდომობაზე, არჩევნებამდე პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობის მონიტორინგის შესაძლებლობაზე და კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლებაზე. მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისს მიმართეს, ხოლო პლენუმს საქმე 26 ივნისს გადაეცა. შესაბამისად თავჯდომარემ საქმის გადაცემა 19 დღით დააგვიანა. აღსანიშნავია, რომ საქმეზე განჩინება სასამართლომ 2022 წლის 25 ნოემბერს მიიღო. მოსარჩელე მხარემ პირველ განმწესრიგებულ სხდომაზე, რომელიც 2018 წლის 29 ივნისს ჩატარდა, ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდგომ სხდომის გადადება მოითხოვა. იგივე შუამდგომლობა დააყენა ამავე წლის 18 ივლისსაც, რადგან მხარეს ახალი წარმომადგენლის აყვანა სურდა. 2022 წლის 2 ნოემბერს მოსარჩელე მხარე სხდომაზე არ გამოცხადდა და საკონსტიტუციო სასამართლომ მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობა მიიჩნია არასაპატიოდ. ზემოთხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმე №1323-ის შეწყვეტის შესახებ.

თავჯდომარეთა საერთო სტატისტიკა სარჩელებთან მიმართებაში ასე გამოიყურება:




* X ლეხდი აღნიშნავს დღეთა ხაოფენობას საჩივრის ხეგისგხაციიდან პდენუმისთვის საქმის გადაცემამდე. ცისფეხი სვეგი აღნიშნავს კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით პდენუმისთვის გადაცემულ საქმეთა ხაოფენობას. წითელი სვეგი აღნიშნავს ვადის დახლვევით პდენუმისთვის გადაცემულ საქმეთა ხაოფენობას.

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმე N3/16/1323 ა(ა)იპ „აპრიორი“, ა(ა)იპ „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი“ და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 25.11.2022. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14583>, 29.06.2023)

3 სარჩელი⁵² რომელთა პლენუმისთვის გადაცემის თარიღიც უცნობია არის 2014-2015 წლებში წარმოებული საქმეები.

წარდგინებებთან მიმართებით სურათი უფრო ბუნდოვანია, რადგან საოქმო ჩანაწერებსა და განჩინებებში, რიგ შემთხვევაში არ არის მითითებული თუ როდის გადაეცა პლენუმს საქმე განსახილველად.

კერძოდ, 76 წარდგინებიდან 37 შემთხვევაში⁵³ უცნობია თუ როდის გადაეცა საქმე პლენუმს. აღნიშნული საქმეები ასევე 2014-2016 წლებში იყო წარმოებაში.



* X ლეხდი აღნიშნავს დღეთა ხაოდელობას წახდგინების ხევისგხაციიდან პდენუმისთვის საქმის გადაცემამდე. ცისფეხი სვეგი აღნიშნავს კანონით განსაზღვრული ვადის დაცვით პდენუმისთვის გადაცემულ საქმეთა ხაოდელობას. ნაცხისფეხი სვეგი აღნიშნავს ვადის დახღვევით პდენუმისთვის გადაცემულ საქმეთა ხაოდელობას.


52 საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, ზურაბ ჩილინგარაშვილი და სხვები, სულ 35 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 602, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 646, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 668.

53 1 - 855; 2 - 583; 3 - 601; 4 - 608,609; 5 - 619; 6 - 633,634; 7 - 641; 8 - 649; 9 - 684; 10 - 685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820; 11 - 774, 778,796, 797, 799, 800, 802, 804, 806, 807, 816, 818, 819, 856, 865, 869; 12 - 771, 775, 776, 777, 786, 787, 788; 13 - 798,801,803,815,817,830.

საქმეთა პლენუმისთვის გადაცემა თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ამავე ეტაპზე უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელის გადაცემიდან 7 დღის ვადაში მიმართოს პლენუმს წერილობით დასაბუთებული წინადადებით საქმის პლენუმის მიერ განხილვის შესახებ, თუ მას გააჩნია დასაბუთებული დასკვნა, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა⁵⁴.

თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე საქმე პლენუმმა განიხილა 12 შემთხვევაში. ამ შემთხვევაში თავმჯდომარეებს არ დაურღვევიათ საქმის პლენუმისთვის გადაცემის ვადები (2 შემთხვევაში გადაცემის თარიღი უცნობია). თავმჯდომარეთა მიმართვა შემდეგი პრინციპით ნაწილდება:



თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

- საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სადაც იგი ასაჩივრებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმებს, რომელთა საფუძველზეც იგი თბილისის მერის თანამდებობიდან გადააყენეს. (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლი, 160-ე მუხლის პირველი ნაწილი)⁵⁵; თავმჯდომარემ გადაწყვიტა, რომ საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.
- საქართველოს მოქალაქე ვახტანგ მენაბდე საქართველოს პარლამენტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ - სადაც იგი ასაჩივრებს არაკონსტიტუციური ნორმების საფუძველზე ცესკოს მიერ მიღებული განკარგულების გამოყენებას და აღნიშნული ნორმატიული აქტის მიხედვით ორ მაჟორიტარულ ოლქში (საგარეჯოსა და მარტვილში) გამოცხადებული შუალედური არჩევნების ჩატარებას (საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, 129-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები

54 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 13, პუნქტი 6.

55 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N3/2/574, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 23.05.2014.

და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 11 ივნისის №62/2012 განკარგულების პირველი მუხლი⁵⁶; თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.

- „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - დავა შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანულ კანონში არსებულ მუხლებს, რომლის საფუძველზეც სადავო აქტი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, 23-ე მუხლის პირველი და მე-10 პუნქტები)⁵⁷; პლენუმმა თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე გადაწყვიტა, რომ კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განმარტოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს ისეთი სპეციფიკური უფლებრივი ასპექტი, როგორც არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის სამართლებრივი ზეგავლენის ფარგლები მიმდინარე ან/და დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რაც კონსტიტუციის განმარტების იშვიათ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს.
- "ა(ა) იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" - სადაც მოსარჩელები დავობენ, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის გასაჩივრებელი ნორმები არ ითვალისწინებს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს შორის ხმების თანაბრად განაწილებიდან დასაშვებ გადახრას და საგამონაკლისო შემთხვევებს. ასევე არ განსაზღვრავს ობიექტურ გარემოებათა ჩამონათვალს, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა შეცვლილიყო ოლქების საზღვრები (გეოგრაფიული, უმცირესობების წარმომადგენლობის დაცვა და სხვა) (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-18 მუხლის, 110-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 110¹ მუხლის მე-3-42-ე პუნქტები⁵⁸); თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.
- "საქართველოს მოქალაქეები - თამარ პაპაშვილი და ანა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" - საქმე შეეხება მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნის წესს, მანდატების რაოდენობას თითოეულ საარჩევნო ოლქში და მიღებული მანდატების განაწილებას (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოს პარლამენტისა და“, „ც“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, 109-ე მუხლის პირველი პუნქტის, 110-ე მუხლის პირველი პუნქტის, 110¹ მუხლის, 125-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების, 125-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები)⁵⁹; თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ განსახილველმა საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.

56 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N3/2/670, საქართველოს მოქალაქე ვახტანგ მენაბდე საქართველოს პარლამენტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ, 24.10.2015.

57 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმოდ ჩანაწერი საქმეზე N3/1/719, „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 25.02.2016.

58 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N3/3/761, ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 04.11.2022.

59 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმოდ ჩანაწერი საქმეზე N3/6/755, საქართველოს მოქალაქეები - თამარ პაპაშვილი და ანა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 20.07.2016.

- საქართველოს მოქალაქეები - მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - დავა შეეხება მოსამართლეთა თანამდებობის დაკავების წესსა და კანდიდატის დანიშვნაზე საბჭოს მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვების „თანამდებობაზე ნიშნავს“ და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი)⁶⁰; პლენუმმა თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე გადაწყვიტა, რომ კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განმარტოს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტი და იმსჯელოს მოსამართლეთა თანამდებობის დაკავების წესის კონსტიტუციურობაზე.
- “ბაჩანა შენგელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ” - დავა შეეხება ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მუხლებს, რომელიც განსაზღვრავდა, რომ ნოტარიუსის მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევა წარმოადგენს მძიმე დისციპლინურ გადაცდომას და აღნიშნული ქმედებისთვის შესაძლებელია, სანქციის სახედ განისაზღვროს ნოტარიუსისთვის უფლებამოსილების შეჩერება („ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებული ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-6 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი და მე-10 მუხლი)⁶¹; თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ განსახილველი საქმის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ დგას ნოტარიუსის, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის კონსტიტუციით დაშვებული შეზღუდვის მასშტაბის დადგენის წინაშე. თავმჯდომარის წინადადებაში აღნიშნულია, რომ, ამ დრომდე, საკონსტიტუციო სასამართლოს არ გაუკეთებია განმარტება დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით და არ უმსჯელია იმ კონსტიტუციური სტანდარტების შესახებ, რომლებიც მოქმედებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასებისას მაშინ, როდესაც საქმე ეხება საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პროფესიულ თანამდებობის პირს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიზნებისთვის. ამასთან, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ იქნა ადამიანის ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დრომდე არ ჰქონია შესაძლებლობა, ემსჯელა დასახელებული კონსტიტუციური უფლების შინაარსზე, მისით დაცული სფეროს არსსა თუ ფარგლებზე. განსახილველი საქმის ფარგლებში სასამართლომ დგას სწორედ დასახელებული ორი ძირითადი უფლებით დაცული სფეროების გამიჯვნის, ინტერნეტზე წვდომის უფლებით დაცული სფეროს მოქმედების არეალის პირველად დადგენის საჭიროების წინაშე.
- ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სასამართლომ განიხილა ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობა (ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის №5544-IX დადგენილება)⁶²; თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე საქართველოს

60 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N3/2/717, საქართველოს მოქალაქეები - მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 07.04.2017.

61 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე N3/1-3/1524, “ბაჩანა შენგელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ”, 29.07.2020.

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N3/2/1473, ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 25.09.2020.

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განმარტოს საქართველოს პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციური სტანდარტები. კერძოდ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, განიმარტოს, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, რას გულისხმობს ამავე პუნქტში მითითებული სიტყვები „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი“, რომელიც შესაძლოა, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი გახდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციით, მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ საქართველოს პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობის გარანტიების გათვალისწინებით დადგინდეს, რა სახის განაჩენი შეიძლება დაედოს საფუძვლად ამ გადაწყვეტილებას და რა მომენტს უკავშირდება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის.

- ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სასამართლომ განიხილა დეპუტატებისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობა („ზურაბ გირჩი ჯაფარიძისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 თებერვლის №153-IVმს-Xმპ დადგენილება, „თამარ კორძაიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 თებერვლის №119-IVმს-Xმპ დადგენილება და „ელენე ხოშტარიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 თებერვლის №150-IVმს-Xმპ დადგენილება)⁶³; თავმჯდომარემ განმარტა, რომ უნდა დადგინდეს, პირადი განცხადებით პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი და პარლამენტის შესაბამისი უფლებამოსილება რამდენად ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და, ზოგადად, როგორია ამ პროცესში საქართველოს პარლამენტის როლი - მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება გულისხმობს მხოლოდ პირადი განცხადების დაკმაყოფილების უფლებამოსილებას და მის ერთგვარად ფორმალურად დადასტურებას, თუ კონსტიტუცია, ამგვარი საფუძვლის არსებობისას, საკანონმდებლო ორგანოსთვის ტოვებს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების არეალს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასახელებული საკითხის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება ინდივიდუალური პირის მიმართ გადაწყვეტილების მიღებით და მის უფლებრივ სფეროზე გავლენის რესურსით, არამედ სახეზეა პირი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში საყოველთაო არჩევნების გზით არის არჩეული ხალხის მიერ და მათ წარმომადგენლად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო დგას ზემოთ დასახელებული საკითხის დემოკრატიის პრინციპიდან მომდინარე კონსტიტუციური მოთხოვნების ქრილში გაანალიზების საჭიროების წინაშე. ამასთან, სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებაში აღნიშნულია ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აქამდე არ ყოფილა მსჯელობა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის დასახელებული საფუძვლის თაობაზე. შესაბამისად, განსახილველმა საქმემ „თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა“.
- საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ - დავა შეეხება საქართველოს ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების

63 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე N3/5/1565,1568,1569, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, თამარ კორძაია და ელენე ხოშტარია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 05.04.2021.

დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის უმოქმედობის კონსტიტუციასთან შესაბამისობას⁶⁴. თავმჯდომარის დასაბუთებულ წინადადებაში მითითებულია, რომ უნდა დადგინდეს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელების დანიშვნის უფლებამოსილება რამდენად ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და, ზოგადად, როგორია ამ პროცესში საქართველოს პრეზიდენტის როლი - მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება გულისხმობს მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე აქტის გამოცემას და მის, ერთგვარად, ფორმალურად დადასტურებას, თუ კონსტიტუცია, ამგვარი საფუძვლის არსებობისას, საქართველოს პრეზიდენტისთვის ტოვებს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების არეალს. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში აქამდე არ ყოფილა მსჯელობა საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და საგარეო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებების ფარგლების თაობაზე. შესაბამისად, განსახილველმა საქმემ „თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა“. 2023 წლის 3 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე წარმოება შეწყვიტა. მიღებულ განჩინებას საფუძვლად დაედო მოსარჩელე მხარის საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 იანვრის განცხადება სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ.

თავმჯდომარე ვალდებულია პლენუმისთვის საქმის გადაცემის მიზნით დაწეროს დასაბუთებული დასკვნა, რომელშიც იგი განმარტავს თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სარჩელის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობით. აღნიშნული დასაბუთებული წინადადება საჯაროდ არ ქვეყნდება და თავმჯდომარის არგუმენტაცია დაინტერესებული პირისთვის ნაწილობრივ ხელმისაწვდომია მხოლოდ პლენუმის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემთხვევაში. ზემოთ ჩამოთვლილი საქმეებიდან აშკარაა, რომ თავმჯდომარეები პლენუმისთვის წინადადებით მიმართვისას დასაბუთებულობის განსხვავებულ სტანდარტებს აყალიბებენ. უმეტეს შემთხვევაში განჩინებებში წარმოდგენილი (თავმჯდომარეთა) არგუმენტაცია არის ძალიან ლაკონური და მკაფიოდ არ განსაზღვრავს თუ რაში გამოიხატება პლენუმის მიერ საქმის განხილვის აუცილებლობა. გარდა იმისა, რომ ეს აფერხებს საკონსტიტუციო სასამართლოს საჯაროობას, აღნიშნული ფაქტი ასევე ახალისებს არათანმიმდევრულ პრაქტიკას და აჩენს თვითნებობის შესაძლებლობას. დაინტერესებული პირი მოკლებულია შესაძლებლობას უფრო მკაფიოდ განსაზღვროს საქმის განაწილების პროცესში შეიძლება თუ არა მოითხოვოს საქმის პლენუმისთვის გადაცემა. მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარის მიერ დასაბუთებული წინადადებით პლენუმისთვის მიმართვის უფლება იშვიათად გამოიყენება, აღნიშნული მიზნით შედგენილი დოკუმენტი ისეთივე მნიშვნელოვან პრაქტიკას აყალიბებს როგორც საოქმო ჩანაწერები და განჩინებები. მოსარჩელე პირისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს თუ ვინ განიხილავს მის საქმეს კოლეგია, თუ პლენუმი. შესაბამისად, მას უნდა ქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს თავმჯდომარის მიერ საქმის პლენუმისთვის გადაცემის მიზნით ჩამოყალიბებულ პრაქტიკას და წარსული არგუმენტაციის საფუძველზე გაამყაროს საკუთარი მოთხოვნა (მოწოდება სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ საქმე გადასცეს პლენუმს). მართალია კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოსარჩელის უფლებას მოითხოვოს საქმის პლენუმის მიერ განხილვა, თუმცა წარსული პრაქტიკის საფუძველზე მან შეიძლება დაარწმუნოს თავმჯდომარე, რომ საქმემ თავისი შინაარსით შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათი ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №23/1/1711, საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, 03.02.2023.

თავმდომარის წინადადების მიღების შემდგომ პლენუმი მიმართვიდან 2 კვირის ვადაში წყვეტს თავმდომარის მიერ წარდგენილი საქმის პლენუმის მიერ განხილვის საკითხს, რომლის შესახებაც იღებს საოქმო ჩანაწერს ან განჩინებას⁶⁵. ზემოთ ჩამოთვლილი საქმეებიდან არცერთ შემთხვევაში არ დაირღვა არც საქმის პლენუმისთვის გადაცემის 7 დღიანი ვადა და არც თავმდომარის წინადადების მიღების შემდგომ პლენუმის მიერ საოქმო ჩანაწერის ან განჩინების მიღების 2 კვირიანი ვადა.

საერთო ჯამში პლენუმისთვის გადაცემულ 12 სარჩელზე სასამართლომ მიიღო 10 განჩინება/საოქმო ჩანაწერი (3 სარჩელი 1 საქმეში გაერთიანდა). აღნიშნული საქმეებიდან პლენუმმა გადაწყვეტილება მიიღო საქმეებზე “ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, “საქართველოს მოქალაქეები - მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. . “საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ” საქმეში მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნაზე უარი განაცხადა. საქმე “ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” 2016 წელს მიღებული იქნა პლენუმზე განსახილველად, თუმცა 2022 წელს წარმოება შეწყდა, რადგან სადავოდ გამხდარი ნორმები ძალადაკარგულია და არ არსებობს სადავო ნორმების არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმები, რომლებიც რელევანტური იქნება მოსარჩელის მიერ კონსტიტუციურ სარჩელში იდენტიფიცირებული სამართლებრივი პრობლემისათვის. საქმე “საქართველოს მოქალაქე ვახტანგ მენაბდე საქართველოს პარლამენტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ” მიღებული იქნა პლენუმზე განსახილველად, თუმცა არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

აღნიშნული განჩინებები/საოქმო ჩანაწერები პლენუმმა 2 კვირიანი ვადის დაცვით განიხილა (ორ შემთხვევაში პლენუმისთვის საქმის გადაცემის თარიღი უცნობია, თუმცა მოსარჩელის მიერ მიმართვის თარიღსა და პლენუმის მიერ შესაბამისი განჩინების/საოქმო ჩანაწერის მიღების თარიღს შორის სხვაობა არ აღემატება 21 დღეს⁶⁶).

საქმეთა პლენუმისთვის გადაცემა კოლეგიის/მოსამართლის მიერ

კანონით ასევე გათვალისწინებულია კოლეგიის მიერ პლენუმისთვის საქმის გადაცემის პროცედურა. კერძოდ, კოლეგია უფლებამოსილია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს⁶⁷:

- მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან;
- განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

65 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 13, პუნქტი 6.

66 სარჩელის მიღების შემდგომ თავმდომარის მიერ საქმის გადაცემისთვის განსაზღვრული 7 დღიანი ვადა და პლენუმის მიერ საქმის განხილვის გამოყოფილი 2 კვირიანი ვადა.

67 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 211, პუნქტი 1.

კოლეგიებმა საქმე პლენუმს შესაბამისი განჩინებით გადასცეს 23 შემთხვევაში⁶⁸.

თავმჯდომარის მიერ დასაბუთებული წინადადების საფუძველზე საქმის პლენუმისთვის გადაცემისგან განსხვავებით კოლეგიის მიერ მიღებული განჩინებები საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე ხელმისაწვდომია, მაშასადამე მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა წარსული პრაქტიკის საფუძველზე, სურვილის არსებობის შემთხვევაში, დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განიხილოს მისი საქმე პლენუმმა. კოლეგიებთან მიმართებით დადებითად შეიძლება შეფასდეს აღნიშნული განჩინებების დასაბუთებულობის ხარისხი. როგორც წესი განჩინებაში დეტალურადაა განმარტებული თუ რა ფორმით განსხვავდება კოლეგიის მოსაზრება წარსული პრაქტიკისგან, ან რას წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2016 წლის 3 ივნისის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის (N5161-რს; 03/06/2016) საფუძველზე, შეიცვალა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელის მიხედვითაც ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი გახდა არა კოლეგიის, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის კომპეტენცია. შესაბამისად, ამავე პერიოდში კოლეგიებისთვის გადაცემულ საქმეთა ნაწილი, შეცვლილ საკანონმდებლო საფუძველებზე დაყრდნობით გადაეცა პლენუმს 13 შემთხვევაში. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, თუ მსგავს შემთხვევებს მხედველობაში არ მივიღებთ, კოლეგიების მიერ საქმეთა პლენუმისთვის გადაცემის სტატისტიკა თანაბარია. თითოეულმა კოლეგიამ პლენუმს 5-5 საქმე გადასცა. პლენუმს 4 საქმე გადაეცა რადგან კოლეგიას გააჩნდა არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული პოზიცია, ხოლო 6 განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობდა საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

პირველმა კოლეგიამ პრაქტიკის შეცვლის საჭიროებიდან გამომდინარე პლენუმს გადასცა საქმეები შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები:

68 (1) ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (2) შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (3) საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (4) ა(ა) იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (5) საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (6) საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (7) „შპს გამომცემლობა ინტელექტი“, „შპს გამომცემლობა არტანუჯი“, „შპს ლოგოს პრესი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (8) საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (9) ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (10) საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (11) საქართველოს მოქალაქე საბა სუთიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (12) „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (13) საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (14) საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (15) საქართველოს მოქალაქე მაკა გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (16) საქართველოს მოქალაქე მერი ფოლოდაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (17) საქართველოს მოქალაქე ქართლოს ზაქარეიშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ; (18) საქართველოს მოქალაქეები - ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (19) საქართველოს მოქალაქეები - რუსუდან ქარჩავა, ქეთევან ბაშელეიშვილი, მარიამ მჭედლიძე, ხათუნა ციხისელი, ნინო ახვლედიანი, გიორგი ძიძიგური, ნინო გოგოლიძე, დიანა ვართანოვი, პაატა კაპანაძე, დალი გოგიძე, ია პაიჭაძე, ბესიკი შენგელია, ბექა კვინიკაძე, ბექა ონიანი, ლაშა ხუსკივაძე, ლიანა ენუქიძე, ანნა მაჭავარიანი და კესო ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; (20) საქართველოს მოქალაქეები - ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ; (21) ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ; (22) საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (1635); (23) საქართველოს მოქალაქეები - კონსტანტინე კანდელაკი და გიორგი აბულაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

კონსტანტინე ვარძელაშვილი, ქეთევან ერემაძე, მაია კოპალეიშვილი)⁶⁹ და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: გიორგი კვერენჩილაძე, ევა გოცირიძე, ვასილ როინიშვილი, გიორგი თევდორაშვილი)⁷⁰.

მეორე კოლეგიამ ამავე მიზნით განიხილა საქმეები ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: ზაზა თავაძე, თამაზ ცაბუტაშვილი, ოთარ სიჭინავა, ლალი ფაფიაშვილი)⁷¹ და ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (მოსამართლეები: თამაზ ცაბუტაშვილი, ირინე იმერლიშვილი, თეიმურაზ ტულუში, მანანა კობახიძე)⁷².

დანარჩენი 6 საქმე, რომელიც კოლეგიებმა პლენუმს გადასცეს, რადგან განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას კოლეგიებს შორის გადანაწილდა თანაბრად.

პირველმა კოლეგიამ განიხილა საქმეები ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: ვახტანგ გვარამია, კონსტანტინე ვარძელაშვილი, ქეთევან ერემაძე, მაია კოპალეიშვილი)⁷³, საქართველოს მოქალაქეები - რუსუდან ქარჩავა, ქეთევან ბაშელეიშვილი, მარიამ მჭედლიძე, ხათუნა ციხისელი, ნინო ახვლედიანი, გიორგი ძიძიგური, ნინო გოგოლიძე, დიანა ვართანოვი, პაატა კაპანაძე, დალი გოგიძე, ია პაიჭაძე, ბესიკი შენგელია, ბექა კვინიკაძე, ბექა ონიანი, ლაშა ხუსკივაძე, ლიანა ენუქიძე, ანნა მაჭავარიანი და კესო ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: ლალი ფაფიაშვილი, მაია კოპალეიშვილი, მერაბ ტურავა, გიორგი კვერენჩილაძე)⁷⁴ და საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: ლალი ფაფიაშვილი, მაია კოპალეიშვილი, მერაბ ტურავა, გიორგი კვერენჩილაძე)⁷⁵.

აღნიშნულ საქმეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას ან განსხვავებულ პრაქტიკას წარმოადგენდა:

- *ხანდაზმულობის ვადები - განჩინების თანახმად “ხანდაზმულობის ვადები, ზოგადად, წარმოადგენს თავად სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ პროცესუალურ კომპონენტს და ამავე უფლებით სარგებლობის მნიშვნელოვან გარანტიას, თუმცა, ამასთან აუცილებელია ამ ინსტიტუტის ადეკვატური, ფრთხილი და გონივრული ნორმატიული*

69 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/1/543 შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 04.04.2013.

70 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/1/1635 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 17.06.2022.

71 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2-3/1/648 საქართველოს მოქალაქე ლევან მესხი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 15.04.2016.

72 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2-3/1/1547 ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, 15.07.2021.

73 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/2/531 ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 04.04.2013.

74 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/6/832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849 საქართველოს მოქალაქეები - რუსუდან ქარჩავა, ქეთევან ბაშელეიშვილი, მარიამ მჭედლიძე, ხათუნა ციხისელი, ნინო ახვლედიანი, გიორგი ძიძიგური, ნინო გოგოლიძე, დიანა ვართანოვი, პაატა კაპანაძე, დალი გოგიძე, ია პაიჭაძე, ბესიკი შენგელია, ბექა კვინიკაძე, ბექა ონიანი, ლაშა ხუსკივაძე, ლიანა ენუქიძე, ანნა მაჭავარიანი და კესო ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 11.11.2016.

75 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/5/707 საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 11.11.2016.

მონესრიგება, რადგან ის, იმავდროულად, არ გახდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფუძველი”⁷⁶.

- სისხლის სამართლის დანაშაულის დამდგენ ნორმებთან მიმართებით განჭვრეტადობის კონსტიტუციური სტანდარტის მოთხოვნების განსაზღვრა⁷⁷ - თანხვედრაში არ იყო წარსულ პრაქტიკასთან, შესაბამისად პლენუმს უნდა განეხილა.
- კანონმდებლის უფლება სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემუშავებისას გამოიყენოს რეგულირება, რომელიც შესაძლებელია ეყრდნობოდეს ზოგად კრიტერიუმებს (მათ შორის ჩვეულებას, ზოგად-ზნეობრივ ღირებულებებს და სხვა), თუ მას გააჩნია სამართლებრივი ურთიერთობის ამომწურავად და ზედმინევნიტ დეტალურად რეგულირების ვალდებულება⁷⁸ - თანხვედრაში იყო წარსულ პრაქტიკასთან, შესაბამისად პლენუმს უნდა განეხილა.

სამივე შემთხვევაში საქმე მიღებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმზე განსახილველად.

მეორე კოლეგიამ განიხილა ა(ა)იპ "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: ოთარ სიჭინავა, ლალი ფაფიაშვილი, ზაზა თავაძე, თამაზ ცაბუტაშვილი)⁷⁹, საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: ოთარ სიჭინავა, ლალი ფაფიაშვილი, ზაზა თავაძე, თამაზ ცაბუტაშვილი)⁸⁰ და საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (მოსამართლეები: ოთარ სიჭინავა, ლალი ფაფიაშვილი, ზაზა თავაძე, თამაზ ცაბუტაშვილი)⁸¹.

აღნიშნულ საქმეებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას ან განსხვავებულ პრაქტიკას წარმოადგენდა:

- თვით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა და ამ პროცესში შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების არსებობა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო აქტის მოქმედების შეჩერება⁸².

76 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/2/531 ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 04.04.2013, პარ-8.

77 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/6/832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849 საქართველოს მოქალაქეები - რუსუდან ქარჩავა, ქეთევან ბაშელიშვილი, მარიამ მჭედლიძე, ხათუნა ციხისელი, ნინო ახვლედიანი, გიორგი ძიძიგური, ნინო გოგოლიძე, დიანა ვართანოვი, პაატა კაპანაძე, დალი გოგიძე, ია პაიჭაძე, ბესიკი შენგელია, ბექა კვინიკაძე, ბექა ონიანი, ლაშა ხუსკვიცაძე, ლიანა ენუქიძე, ანნა მაჭავარიანი და კესო ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 11.11.2016, პარ-4.

78 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N1-3/5/707 საქართველოს მოქალაქეები - ილია კოკაია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 11.11.2016.

79 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/2/577 ა(ა)იპ "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 24.07.2014.

80 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/3/588 საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 25.07.2014.

81 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2-3/1/550 საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 26.06.2015.

82 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/2/577 ა(ა)იპ "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 24.07.2014, პარ-2.

- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ცალსახა პოზიციის არარსებობა, თუ კონსტიტუციის რომელი ნორმა (28-ე თუ 29-ე) ადგენს საარჩევნო პროცესში პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის გარანტიებს⁸³.
- უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი - როგორ ბალანსდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელის საკუთრების უფლების დაცვის კონსტიტუციური გარანტია შემძენისა და სამოქალაქო ბრუნვის დაცვის ინტერესებთან⁸⁴.

პლენუმისთვის მიმართვის უფლება კოლეგიის გარდა, ასევე აქვს ინდივიდუალურ მოსამართლესაც⁸⁵. იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი კოლეგიის წევრი მოსამართლე მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას, იგი უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით აღნიშნული საქმის პლენუმის მიერ განხილვის თაობაზე. მოსამართლემ მსგავსი შუამდგომლობით შეიძლება მიმართოს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე. სამწუხაროდ აღნიშნული შუამდგომლობა, თავმჯდომარის დასაბუთებული წინადადების მსგავსად, ასევე არ არის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი.

2012 წლიდან მსგავსი შემთხვევა ექვსჯერ დაფიქსირდა:

- „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁸⁶;
- საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁸⁷;
- საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁸⁸.
- საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 33 დეპუტატი) ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების““ და სსიპ საჯარო რეესტრის

83 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/3/588 საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეციანიძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 25.07.2014, პარ-3.

84 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2-3/1/550 საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 26.06.2015, პარ-2-3.

85 „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 211, პუნქტი 3.

86 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმომ ჩანაწერი საქმეზე N3/5-1/679, 720, 721, 740, 764 ა) „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელის N2679); ბ) „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელები N2720 და N2721) გ) საქართველოს მოქალაქეები - გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით ნიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელები N2740 და N2764), 15.06.2016.

87 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმომ ჩანაწერი საქმეზე N3/4/N885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 29.12.2017.

88 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N1/1/1267,1268 საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 19.11.2018.

ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ⁸⁹.

- ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁹⁰.
- გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ⁹¹.

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ საქმეებში ინდივიდუალურ მოსამართლეთა მოსაზრება არ გაიზიარა კოლეგიის ძირითადმა შემადგენლობამ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა არგუმენტები გააჩნდა მოსამართლეს საქმის პლენუმისთვის გადასაცემად. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული საქმე სხვადასხვა კონსტიტუციურ უფლებებსა და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება და სხვადასხვა მოსამართლეთა მოსაზრებებს წარმოადგენს მნიშვნელოვანია წარმოდგენილი არგუმენტაციის გააზრება. მართალია, საქმეთა მცირე რაოდენობა და განსხვავებული ხასიათი რაიმე ტენდენციის დანახვის შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა იგი სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის წევრმა მოსამართლე მერაბ ტურავამ პლენუმს წერილობით მიმართა საქმეებზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“, „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და „საქართველოს მოქალაქეები - ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ლლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსამართლის მოსაზრებით აღნიშნული სარჩელების პლენუმს უნდა განეხილა რადაგან:

- №679 კონსტიტუციური სარჩელი შეეხება მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების კონსტიტუციურობის საკითხს, რაც სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს წარმოადგენს და ფართოდ გამოიყენება საერთო სასამართლოების პრაქტიკაში. სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება სამართლებრივი უსაფრთხოების, სამართლებრივი განსაზღვრულების პრინციპებს;
- №720 და №721 კონსტიტუციური სარჩელები შეეხება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს, ვინდიკაციურ სარჩელსა და საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას, აგრეთვე ხანდაზმულობის ვადის დინების შეწყვეტას. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმები სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს წარმოადგენს და ფართოდ გამოიყენება საერთო სასამართლოების პრაქტიკაში;

მისი შეფასებით აღნიშნული სამართლებრივი დავის ფარგლებში შეიძლება წარმოშვას საქართველოს კონსტიტუციის განმარტებისა და გამოყენების იშვიათი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა. პლენუმმა საქმე არსებითად განსახილველად მიიღო⁹².

89 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/19/850 საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 33 დეპუტატი) ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების““ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ, 28.12.2017.

90 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქომო ჩანაწერი საქმეზე N3/1-2/1458,1556 ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 23.04.2021.

91 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქომო ჩანაწერი საქმეზე N3/1-3/1264 გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 23.07.2021.

92 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქომო ჩანაწერი საქმეზე N3/5-1/679, 720, 721, 740, 764 ა) „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური

საქართველოს სახალხო დამცვედი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური საჩივრი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა ლალი ფაფილაშვილმა და მერაბ ტურავამ პლენუმს დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით მიმართეს საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსამართლეთა აზრით აღნიშნული სარჩელები პლენუმს უნდა განეხილა, რადგან “კონსტიტუციურ სარჩელებზე დავის გადაწყვეტა გულისხმობს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური სტანდარტების, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების განმარტებასა და გამოყენებას. განსახილველი საკითხი კი შეეხება არა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანების მიერ კერძო კომუნიკაციაზე წვდომის სისტემის ცალკეულ ასპექტებს, არამედ მთლიანად დასახელებული სისტემის კონსტიტუციურობას. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ განსახილველ შემთხვევაში დღის წესრიგში დგას არა მხოლოდ უშუალოდ სადავო ნორმებით გამოწვეული შეზღუდვის, არამედ ინდივიდუალური მოხელეების მიერ ნორმების შესაძლო დარღვევიდან მომდინარე საფრთხეებისა და ამ საფრთხეების პრევენციისათვის აუცილებელი მექანიზმების შეფასების აუცილებლობა.”⁹³. მათი განმარტებით, განსახილველი საქმე წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტებისა და გამოყენების განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას. პლენუმმა გაიზიარა მოსამართლეთა მოსაზრება და საქმე არსებითად განსახილველად მიიღო.

საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის წევრმა მოსამართლე ევა გოცირიძემ საქართველოს პლენუმს მიმართა საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსამართლის მოსაზრებით აღნიშნული საქმე პლენუმს უნდა განეხილა, რადგან საქმე შეეხება განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრების უფლების ფარგლებს და იგი არ იზიარებდა საკონსტიტუციო სასამართლოს წარსულ პრაქტიკას. პლენუმმა არ გაიზიარა მოსამართლის პოზიცია⁹⁴.

საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სეზგო ხაგიანი, დევან ბეჟაშვილი, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 33 დეპუტატი) ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაეხითიანების „პოლიტიკური გაეხითიანება „ცენტრისების““ და სსიპ საჯარო ჰეესტის ეხოვნული სააგენცოს წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის წევრმა ირინე იმერლიშვილმა საქართველოს პლენუმს მიმართა საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 33

სარჩელის №679); ბ) „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №720 და №721) გ) საქართველოს მოქალაქეები - გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით ნიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელები №740 და №764), 15.06.2016.

93 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმომ ჩანაწერი საქმეზე N3/2-1/N885-924, 928-929, 931-1207, 1213, 1220-1224, 1231 საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ-3, 17.05.2017.

94 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმომ ჩანაწერი საქმეზე N3/1/1267,1268 საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 19.10.2018.

დეპუტატი) ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების““ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ. საქმეში მოსარჩელები ითხოვდნენ პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ აკრძალვას. მოსამართლის მოსაზრებით საქმე პლენუმის კომპეტენციას წარმოადგენდა, რადგან საქმე წარმოშობდა კონსტიტუციის განმარტებისა და გამოყენების ისეთ პრეცედენტს, რომლის პრაქტიკა აქამდე სასამართლოს არ ჰქონია. პლენუმმა აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა.

ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა გიორგი კვერენჩილაძემ დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით მიმართა პლენუმს საქმეზე ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. აღნიშნულ საკითხზე მოსამართლის პოზიცია განხვავდებოდა სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან. მისი შეფასებით მართებული არ არის ის, რომ ძალადაკარგული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება. პლენუმმა მოსამართლის პოზიცია გაიზიარა.

გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა მანანა კობახიძემ დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით მიმართა პლენუმს საქმეზე გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლებს გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობისა და მისი გამჟღავნებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. მოსამართლის მოსაზრებით აღნიშნული უნდა დაბალანსდეს პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სასამართლო სხდომის დახურვის, სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გასაჩივრების შეუძლებლობის კონსტიტუციურობის საკითხებთან. პლენუმმა მოსამართლის პოზიცია გაიზიარა.

თავმდჯომარის ან კოლეგიის მიერ საქმის პლენუმისთვის გადაცემის შემთხვევაში აღნიშნული საქმეების განხილვა არ აჩერებს საკონსტიტუციო სასამართლოში სხვა საქმეების განხილვასა და გადაწყვეტას⁹⁵. მსგავსი საქმეები პლენუმმა უნდა განიხილოს 6 თვის ვადაში⁹⁶.

საქმეთა განაწილება კოლეგიებს შორის

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებისთვის საქმეთა გადაცემისას დაცული უნდა იქნას რიგითობის წესი⁹⁷ - რაც გულისხმობს კოლეგიებს შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოსვლის რიგისა და კოლეგიების რიგითობის მიხედვით. ზოგადი წესისგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი იმავე შინაარსისაა ან სამართლებრივად არსებითად უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიისთვის ადრე გადაცემული კონსტიტუციური სარჩელი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ეს სარჩელი ერთ წარმოებად გაერთიანების

95 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 21², პუნქტი 4.

96 იქვე.

97 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 2.

მიზნით განსახილველად იმავე კოლეგიას გადასცეს⁹⁸. ამავე პრინციპით, შეიძლება სარჩელი ერთ წარმოებად გასაერთიანებლად, განსახილველად გადასცეს პლენუმს⁹⁹.

თავმჯდომარის ან კოლეგიის მიერ საქმის პლენუმისთვის გადაცემის შემთხვევაში თუ პლენუმმა მიიჩნია, რომ კონსტიტუციური სარჩელი თავისი შინაარსით არ წარმოშობს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას იგი გამოსცემს განჩინებას და თავმჯდომარე რიგითობის წესით საქმეს გადასცემს ერთ-ერთ კოლეგიას¹⁰⁰.

2012 - 2023 წლებში კოლეგიებსა და პლენუმს შორის საქმეები შემდგომი პრინციპით გადანაწილდა (გათვალისწინებულია სარჩელთა ერთ საქმედ გაერთიანების შემთხვევები):

საანგარიშო პერიოდი	პირველი კოლეგია	მეორე კოლეგია	პლენუმი
2012-05/2023	323	334	116 (დამატებით 11 საქმე კოლეგიებიდან პლენუმს გადაეცა)
გიორგი პაპუაშვილის თავმჯდომარეობის განმავლობაში	99	107	41
ზაზა თავაძის თავმჯდომარეობის განმავლობაში	117	120	40
მერაბ ტურავას თავმჯდომარეობის განმავლობაში	107	107	35

2017 წლის ჩათვლით, დღესდღეობით არსებული მოწესრიგების ამოქმედებამდე, კოლეგიებს შორის საქმეთა განაწილებისას რაიმე აშკარა მიდგომა არ არსებობდა. ხშირ შემთხვევაში სარჩელები წყვილ-წყვილად ნაწილდებოდა კოლეგიებსა და მომხსენებელ მოსამართლეებს შორის. თუმცა, 2017 წლიდან აშკარაა საქმეთა განაწილების პროცედურაში პოზიციური პრაქტიკის დანერგვის მცდელობა - მნიშვნელოვნად შემცირდა ერთმანეთის თანმდევ საქმეთა ერთი და იგივე კოლეგიაში განაწილების პრაქტიკა. 2016 წელს 35 მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა (97 საქმიდან), 2017 წელს კი - 3 საქმე (86 საქმიდან).

უკანასკნელ წლებში ერთმანეთის თანმდევი საქმეები ერთსა და იმავე კოლეგიაში აღმოჩნდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სარჩელთა განაწილების შემდგომ ერთ-ერთი სარჩელი ძველ სარჩელთან ერთ საქმეში გაერთიანდა და რიგითობის ძირითადი წესიდან ამოვარდა, საქმე პლენუმს გადაეცა ან სარჩელის რეგისტრაცია გაუქმდა შემდგომი საქმეების განაწილების შემდგომ.

98 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 3.

99 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 4.

100 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 13, პუნქტი 6.

შესაბამისად 2018 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა კოლეგიებს შორის განაწილების რიგითობის წესი დაცულია.

მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნა

არსებული მოწესრიგების თანახმად, საქმის განაწილებასთან ერთად ასევე ინიშნება მომხსენებელი მოსამართლე განმწესრიგებელი სხდომისთვის.

მომხსენებელი მოსამართლე შეირჩევა ავტომატური, ელექტრონული წესით. სისტემა კოლეგიის/პლენუმის საქმეებზე მომხსენებლად შეარჩევს სასამართლოს წევრს ანბანური თანმიმდევრობით¹⁰¹.

თუმცა შერჩეული მოსამართლის დანიშვნა ხდება პლენუმის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო კოლეგიის შემთხვევაში შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარის მიერ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე¹⁰². არსებობს რამოდენიმე გარემოება რომლის საფუძველზეც ელექტრონული წესით შერჩეული მომხსენებელი მოსამართლე თავმჯდომარემ შეიძლება სხვა მოსამართლით ჩაანაცვლოს.

- *იმ შემთხვევაში თუ თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ “კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება იმავე შინაარსისაა ან სამართლებრივად არსებითად უკავშირდება იმ საკითხს, რომელსაც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისათვის/კოლეგიისათვის ადრე გადაცემული კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება და მიზანშეწონილია ხსენებულ სარჩელებზე/წარდგინებებზე მომხსენებლად ერთი და იმავე პირის დანიშვნა”¹⁰³.*
- *მომხსენებელი მოსამართლე ასევე შეიძლება შეიცვალოს თუ¹⁰⁴:*
 - *საქმის განხილვას (მის რომელიმე ეტაპს) ან გადაწყვეტას ჩამოცილდა წევრი, რომელიც დანიშნული იყო მომხსენებელ მოსამართლედ;*
 - *პლენუმის/კოლეგიის საოქმო ჩანაწერით მოხდა სხვადასხვა საქმეების ერთ საქმედ გაერთიანება და მათზე მომხსენებელ მოსამართლედ დანიშნული იყვნენ სასამართლოს სხვადასხვა წევრები. ასეთ შემთხვევაში ერთ საქმედ გაერთიანებულ ყველა კონსტიტუციურ სარჩელზე/წარდგინებაზე მომხსენებელ მოსამართლედ ინიშნება ის წევრი, რომელიც იყო მომხსენებელ მოსამართლედ დანიშნული ყველაზე ადრე რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელზე/წარდგინებაზე.*

თუ მომხსენებელი მოსამართლის განსაზღვრისას ზემოთ ჩამოთვლილი, რომელიმე გამონაკლისი შემთხვევა დაფიქსირდა, პლენუმის/კოლეგიის თავმჯდომარე იღებს დასაბუთებულ რეზოლუციას¹⁰⁵.

მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნასთან ერთად თავმჯდომარე კოლეგიის წევრებს საქმეს გადასცემს¹⁰⁶.

კოლეგიის შემადგენლობა მტკიცდება პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით¹⁰⁷. კოლეგიათა შემადგენლობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს ახალი თავმჯდომარის არჩევიდან 10 დღეში, შესაბამისად ყოველ 5 წელიწადში¹⁰⁸.

101 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 14, პუნქტი 1.

102 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 14, პუნქტი 2.

103 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 14, პუნქტი 3.

104 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 14, პუნქტი 4.

105 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 14, პუნქტი 5.

106 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 312, პუნქტი 5.

107 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 11.

108 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 10.

თუმცა, კოლეგიათა შემადგენლობა ასევე შეიძლება გადახალისდეს იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობის ორი ან ორზე მეტი წევრი შეიცვალა¹⁰⁹. ამასთანავე, თუ კოლეგიის მიერ საქმის განხილვაში ვერ მონაწილეობს ამ კოლეგიის ორი წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმში უფლებამოსილია ამ საქმის განხილვისათვის კოლეგიას დროებით მიამაგროს მეორე კოლეგიის ერთ-ერთი წევრი (გარდა კოლეგიის თავმჯდომარისა)¹¹⁰. შესაბამისად კოლეგიათა შემადგენლობა შესაძლებელია გარკვეული პერიოდულობით იცვლებოდეს (აღნიშნული პროცედურა დეტალურადაა განხილული კვლევის შესაბამის ქვეთავში).

2012-2023 წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა 19 პირი:

მოქმედი მოსამართლე:

- მერაბ ტურავა (2015-დღემდე);
- ვასილ როინიშვილი (2020-დღემდე);
- ევა გოცირიძე (2017-დღემდე);
- გიორგი თევდორაშვილი (2021-დღემდე);
- გიორგი კვერენჩხილაძე (2016-დღემდე);
- მანანა კობახიძე (2017-დღემდე);
- ირინე იმერლიშვილი (2016-დღემდე);
- ხვიჩა კიკილაშვილი (2020-დღემდე);
- თეიმურაზ ტულუში (2016-დღემდე).

ყოფილი მოსამართლე:

- ვახტანგ გვარამია (2003-2013);
- გიორგი პაპუაშვილი (2006-2016);
- კონსტანტინე ვარძელაშვილი (2006-2016);
- ქეთევან ერემაძე (2006-2016);
- ოთარ სიჭინავა (2006-2016);
- ლალი ფაფიაშვილი (2007-2017);
- მაია კოპალეიშვილი (2009-2019);
- ზაზა თავაძე (2010-2020);
- თამაზ ცაბუტაშვილი (2011-2021).

109 "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 11.

110 "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 11.

2012-2015 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიას თანმჯდომარეობდა კონსტანტინე ვარძელაშვილი, ხოლო კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდნენ ქეთევან ერემაძე და მაია კოპაღეიშვილი.

2012 -2023 წლებში პირველი კოლეგიის შემადგენლობა შემდგომი ფორმით იცვლებოდა:

2012	2013	2014
კონსტანტინე ვარძელაშვილი ქეთევან ერემაძე მაია კოპაღეიშვილი ვახტანგ გვახაშია	კონსტანტინე ვარძელაშვილი ქეთევან ერემაძე მაია კოპაღეიშვილი	კონსტანტინე ვარძელაშვილი ქეთევან ერემაძე მაია კოპაღეიშვილი
2015	2016	2017
კონსტანტინე ვარძელაშვილი ქეთევან ერემაძე მაია კოპაღეიშვილი მეხაბ ტუჩავა	გიორგი კვეციანი დარი ფაფიაშვილი მაია კოპაღეიშვილი მეხაბ ტუჩავა	გიორგი კვეციანი დარი ფაფიაშვილი მაია კოპაღეიშვილი მეხაბ ტუჩავა
2018	2019	2020
გიორგი კვეციანი ევა გოციხიძე მაია კოპაღეიშვილი მეხაბ ტუჩავა	გიორგი კვეციანი ევა გოციხიძე მაია კოპაღეიშვილი მეხაბ ტუჩავა	გიორგი კვეციანი ევა გოციხიძე ხვირა კვიციანი ვასილ ხოინიშვილი
2021	2022	2023
გიორგი კვეციანი ევა გოციხიძე გიორგი თევდოშვილი ვასილ ხოინიშვილი	გიორგი კვეციანი ევა გოციხიძე გიორგი თევდოშვილი ვასილ ხოინიშვილი	გიორგი კვეციანი ევა გოციხიძე გიორგი თევდოშვილი ვასილ ხოინიშვილი

2012-2023 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას თავმჯდომარეობდა:

- კონსტანტინე ვარძელაშვილი - 2012-2016;
- ლალი ფაფიაშვილი - 2016-2017;
- მერაბ ტურავა - 2018-2020;
- ვასილ როინიშვილი - 2020-2023

2012-2014 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას თანმჯდომარეობდა ზაზა თავაძე. ხოლო კოლეგიის წევრები იყვნენ ლალი ფაფიაშვილი, თამაზ ცაბუტაშვილი და ოთარ სიჭინავა.

2012 -2023 წლებში პირველი კოლეგიის შემადგენლობა შემდგომი ფორმით იცვლებოდა:

2012	2013	2014
ზაზა თავაძე დადი ფაფიაშვილი თამაზ ცაბუტაშვილი ოთარ სიჭინავა	ზაზა თავაძე დადი ფაფიაშვილი თამაზ ცაბუტაშვილი ოთარ სიჭინავა	ზაზა თავაძე დადი ფაფიაშვილი თამაზ ცაბუტაშვილი ოთარ სიჭინავა
2015	2016	2017
ზაზა თავაძე იხინე იმეხღიშვილი თამაზ ცაბუტაშვილი ოთარ სიჭინავა	ზაზა თავაძე იხინე იმეხღიშვილი თამაზ ცაბუტაშვილი თეიმუხაზ გულუში	მანანა კობახიძე იხინე იმეხღიშვილი თამაზ ცაბუტაშვილი თეიმუხაზ გულუში
2018	2019	2020
მანანა კობახიძე იხინე იმეხღიშვილი თამაზ ცაბუტაშვილი თეიმუხაზ გულუში	მანანა კობახიძე იხინე იმეხღიშვილი თამაზ ცაბუტაშვილი თეიმუხაზ გულუში	მანანა კობახიძე იხინე იმეხღიშვილი თამაზ ცაბუტაშვილი თეიმუხაზ გულუში
2021	2022	2023
მანანა კობახიძე იხინე იმეხღიშვილი ხვიჩა კიკიდაშვილი თეიმუხაზ გულუში	მანანა კობახიძე იხინე იმეხღიშვილი ხვიჩა კიკიდაშვილი თეიმუხაზ გულუში	მანანა კობახიძე იხინე იმეხღიშვილი ხვიჩა კიკიდაშვილი თეიმუხაზ გულუში

2012-2023 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას თავმჯდომარეობდა:


- ზაზა თავაძე - 2010-2016;
- თეიმურაზ ტულუში - 2016-2020;
- მანანა კობახიძე - 2021-2023;

2012 წლიდან 2018 წლამდე კოლეგიებში მომხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნისას საქმეები ძირითადად წყვილ-წყვილად ნაწილდებოდა ერთი და იგივე მოსამართლეზე. გარკვეულ შემთხვევებში ფიქსირდება ასევე 3-4 ერთმანეთის თანმდევი საქმეების ერთი და იგივე მომხსენებელ მოსამართლეზე განაწილების ფაქტი. მაგალითად, 2012 წელს პირველი კოლეგიისთვის გადაცემული საქმეები შემდგომი პრინციპით განაწილდა (იხ. დანართი 1):


523	კონსტანტინე ვარძელაშვილი
525	კონსტანტინე ვარძელაშვილი
527	მაია კოპალეიშვილი
529	მაია კოპალეიშვილი
531	ქეთევან ერემაძე
534	ქეთევან ერემაძე
535	მაია კოპალეიშვილი
538	კონსტანტინე ვარძელაშვილი
539	ქეთევან ერემაძე
541	ქეთევან ერემაძე
543	მაია კოპალეიშვილი
547	მაია კოპალეიშვილი
548	კონსტანტინე ვარძელაშვილი

2016 წელს ჩამოყალიბდა ანბანური თანმიმდევრობით საქმეთა განაწილების სისტემა. 2018 წელსახალი კონსტიტუციის მიღებასთან ერთად, შეიცვალა “საქართველოს ავსტონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი და ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კანონი “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ”. აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, გაუმჯობესდა მომხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა.

აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით შეგვიძლია შემდგომი სტატისტიკური მონაცემები ვაწარმოოთ, საერთო ჯამში 2012-2023 წლებში პირველ კოლეგიაში თითოეული მოსამართლე მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა:



2012-2023 წლებში მეორე კოლეგიაში თითოეული მოსამართლე მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა:



2016 წლიდან ორივე კოლეგიაში გაუმჯობესდა მომხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა. საქმეები ძირითადად თანაბრად ნაწილდება.

პლენუმი


პლენუმის მიერ საქმეთა განხილვისას მომხსენებელი მოსამართლე ინიშნება სასამართლოს წევრთაგან ანბანური თანმიმდევრობით. 2012-2023 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდნენ:

- ვახტანგ გვარამია (2003-2013);
- გიორგი პაპუაშვილი (2006-2016);
- კონსტანტინე ვარძელაშვილი (2006-2016);
- ქეთევან ერემაძე (2006-2016);
- ოთარ სიჭინავა (2006-2016);
- ლალი ფაფიაშვილი (2007-2017);
- მაია კოპალეიშვილი (2009-2019);
- ზაზა თავაძე (2010-2020);
- თამაზ ცაბუტაშვილი (2011-2021);
- მერაბ ტურავა (2015-დღემდე);
- თეიმურაზ ტულუში (2016-დღემდე);
- ირინე იმერლიშვილი (2016-დღემდე);
- გიორგი კვერენჩხილაძე (2016-დღემდე);
- ევა გოცირიძე (2017-დღემდე);
- მანანა კობახიძე (2017-დღემდე);
- ვასილ როინიშვილი (2020-დღემდე);
- ხვიჩა კიკილაშვილი (2020-დღემდე);
- გიორგი თევდორაშვილი (2021-დღემდე).

2012 წელს პლენუმმა მხოლოდ 1 საქმე განიხილა “დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, რომელზეც მომხსენებელი მოსამართლე გიორგი პაპუაშვილი იყო. თუმცა, სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წელს მიმართეს და მომხსენებელი მოსამართლეც ამავე პერიოდში დაინიშნა. 2012 წელს ასევე პლენუმს გადაეცა 531-ე საქმე, “ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, სადაც მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა ქეთევან ერემაძე.

2013 წელს პლენუმს გადაეცა მხოლოდ 543-ე საქმე - შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელზეც მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა მაია კოპალეიშვილი.

2014 წლიდან პლენუმისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2012-2023 წლებში პლენუმში მომხსენებელი მოსამართლე 127 საქმეზე დაინიშნა. წლების განმავლობაში პლენუმისთვის გადაცემული საქმეების ოდენობა შემდეგი ფორმით გადანაწილდა:



პლენუმში მომხსენებელ მოსამართლეებზე საქმეთა გადანაწილების პროცესში რთულია ანბანური თანმიმდევრობის დანახვა, რადგან განხილვის სხვადასხვა ეტაპზე ხშირია საქმეთა გაერთიანების შემთხვევები. საშუალოდ ერთ მოსამართლეზე ყოველი მეცხრე საქმე უნდა ნაწილდებოდეს.

საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის დანერგვამდე მოსამართლეთა შორის საქმეები არათანაბრად ნაწილდებოდა.


მაგალითად 2014 წელს განაწილდა საქმეები:

- 574 - ქეთევან ერემაძე;
- 577 - ლალი ფაფიაშვილი;
- 583 - ოთარ სიჭინავა;
- 588 - ლალი ფაფიაშვილი;
- 600 - გიორგი კვერენჩხილაძე;
- 601 - გიორგი პაპუაშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;
- 602 - მაია კოპალეიშვილი;
- 608 - გიორგი პაპუაშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;
- 619 - გიორგი პაპუაშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება;

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან აშკარაა, რომ ყველა წარდგინებას განიხილავდა გიორგი პაპუაშვილი. ხოლო დანარჩენ საქმეებზე მომხსენებელი მოსამართლის გამწესებისას თანაზომიერება არ არის დაცული.

2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს რამოდენიმე წევრს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, ახალი მოსამართლეების დანიშვნამდე საქმეთა ძირითადი ნაწილი მაია კოპალეიშვილს, თეიმურაზ ტულუშსა და მერაბ ტურავას შორის გადანაწილდა. 2017 წლიდან პლენუმში მომხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა გამართულად მიმდინარეობს.

საერთო ჯამში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებსა და პლენუმში მომხსენებელ მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილება შემდეგია:



მომხსენებელ მოსამართლეთა ცვლილება

როგორც კოლეგიაში, ასევე პლენუმში არაერთხელ შეიცვალა მომხსენებელი მოსამართლის ვინაობა. უმეტეს შემთხვევაში ცვლილება დაკავშირებული იყო სარჩელთა ერთ საქმეში გაერთიანებასთან, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან/მომხსენებლად დანიშნული წევრის ჩამოცილებასთან ან კოლეგიის შემადგენლობის გადახალისებასთან.

აღნიშნულ თავში განხილულია უკანასკნელი 2 შემთხვევა.

კონსტანტინე ვახტანგაშვილის ნაცვლად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა:

- ირინე იმერლიშვილი¹¹¹;
- მაია კოპალეიშვილი¹¹²;

გიორგი პაპუაშვილის ნაცვლად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა:

- თეიმურაზ ტულუში¹¹³;

ოთახ სიჭინავას ნაცვლად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა:

- ზაზა თავაძე¹¹⁴;
- თამაზ ცაბუტაშვილი¹¹⁵;
- ირინე იმერლიშვილი¹¹⁶;

ქეთევან ეხემაძის ნაცვლად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა:

- გიორგი კვერენჩილაძე¹¹⁷;

2017 წელს უფლებამოსილების ვადა ამოწურა ლალი ფაფიაშვილს და მის წარმოებაში არსებულ საქმეებში, სადაც იგი მომხსენებელი მოსამართლე იყო დაინიშნა ევა გოცირიძე (N926, N1259, N1267, N1268), მაია კოპალეიშვილი (N1215), გიორგი კვერენჩილაძე (N742, N1244, N1245). ასევე, მერაბ ტურავა საქმეში N809.

2019 წელს სასამართლოს წევრ მაია კოპალეიშვილს ამოწურა უფლებამოსილების ვადა და მის წარმოებაში არსებული საქმე (N1404), სადაც იგი მომხსენებელ მოსამართლედ იყო დანიშნული გადაეცა ევა გოცირიძეს. საქმეები N1429, N1445 და N1454 გადაეცა მერაბ ტურავას.

111 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N679 „შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

112 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N638 „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

113 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N768,769,790,792 „საქართველოს პარლამენტის ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

114 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N550 „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

115 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N623 „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

116 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N658 „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

117 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N600 „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მაია კოპალეიშვილის უფლებამოსილების ამოწურვის შემდგომ ხვირა კიკილაშვილს გადაეცა 16 დამატებითი საქმე¹¹⁸. კოლეგიათა შემადგენლობის გადახალისების საფუძველზე მომხსენებელ მოსამართლე ხვირა კიკილაშვილზე განაწილებული 23 საქმე¹¹⁹ გადაეცა გიორგი თევდორაშვილს (აქედან 15 საქმეში მომხსენებელი მოსამართლე მაია კოპალეიშვილიც იყო).

2020 წელს ზაზა თავაძის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდგომ მის წარმოებაში არსებული საქმეები, სადაც იგი მომხსენებელ მოსამართლედ იყო დანიშნული, გადაეცა ვასილ როინიშვილს¹²⁰, თეიმურაზ ტულუშს (3 საქმე)¹²¹.

ასევე, 2021 წელს უფლებამოსილების ვადა ამოწურა სასამართლოს წევრ თამაზ ცაბუტაშვილს, რომელიც მეორე კოლეგიაში მომხსენებელი მოსამართლე იყო 25 საქმეში¹²². აღნიშნულ საქმეებზე მომხსენებელ მოსამართლედ ხვირა კიკილაშვილი დაინიშნა. პლენუმში თამაზ ცაბუტაშვილი მომხსენებელი მოსამართლე იყო საქმეებში N813, N1297, N1362, N1554 და N1601 სადაც მისი პოზიცია გიორგი თევდორაშვილმა დაიკავა. ასევე, თამაზ ცაბუტაშვილის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მის ნაცვლად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა მანანა კობახიძე¹²³, ირინე იმერლიშვილი¹²⁴, თეიმურაზ ტულუში¹²⁵, ლალი ფაფიაშვილი¹²⁶.

ვასილ როინიშვილი მერაბ ტურავას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე განმწესების შემდგომ მიმდინარე საქმეებზე მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა 17 შემთხვევაში¹²⁷.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა ერთი და იგივე საქმეზე მომხსენებელი მოსამართლე რამოდენიმეჯერ შეიცვალა. მაგალითად საქმეში N690 (ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქეები გურამ იმნაძე და სოფიკო ვერძეული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) პირველი მომხსენებელი მოსამართლე იყო ლალი ფაფიაშვილი. უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდგომ დაინიშნა მერაბ ტურავა. ხოლო პლენუმის მიერ მისი თავმჯდომარის პოზიციაზე არჩევის შემდგომ ვასილ როინიშვილი.

მსგავსი ფაქტი განმეორდა საქმეში N697 (საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ). თავდაპირველად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა ლალი ფაფიაშვილი, რომელმაც სარჩელის რეგისტრაციიდან 2 წელიწადში მიიღო საოქმო ჩანაწერი საქმის არსებითად

118 N697, N724, N733, N762, N1248, N1287, N1288, N1300, N1307, N1309, N1320, N1330, N1345, N1353, N1368, N1420.

119 N697, N724, N733, N762, N1287, N1288, N1300, N1307, N1309, N1320, N1330, N1345, N1353, N1368, N1420, N1562, N1577, N1591, N1599, N1608, N1618, N1630, N1640.

120 N1321, N1341, N1392, N1473, N1500.

121 N598, N626, N656.

122 N702, N728, N1274, N1333, N1351, N1367, N1384, N1434, N1442, N1453, N1466, N1474, N1494, N1506, N1517, N1532, N1542, N1553, N1564, N1579, N1600, N1606, N1617, N1629.

123 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N747 “შპს „ვიგანტი სეიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ”.

124 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N642 “საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

125 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N813 “საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

126 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე N536 “საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ”.

127 N690, N860, N876, N1278, N1334, N1361, N1377, N1394, N1410, N1422, N1437, N1447, N1464, N1472, N1487, N1489, N1510.

განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით. მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდგომ საქმე გადაეცა მათ კოპალეიშვილს, რომელსაც 2019 წელს ასევე ამოწურა უფლებამოსილების ვადა. შესაბამისად, მის ნაცვლად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა ხვიჩა კიკილაშვილი. 2021 წელს პლენუმის გადაწყვეტილებით გადახალისდა სასამართლოს კოლეგიების შემადგენლობა და ხვიჩა კიკილაშვილი პირველი კოლეგიიდან მეორე კოლეგიაში გადანაწილდა. მომხსენებელ მოსამართლედ გიორგი თევდორაშვილი დაინიშნა.

საქმეში N1215 (საქართველოს მოქალაქეები - ეკატერინე აღდგომელაშვილი, ლინა ღვინიაიანიძე, სოფიკო ვერძეული, თამთა ნანიშვილი, ნანა სარალიშვილი და თამარ კორძია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) თავდაპირველად მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა ლალი ფაფიაშვილი, შემდგომ მათ კოპალეიშვილი, თუმცა საბოლოო განჩინება მომხსენებელმა მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძემ მიიღო.

ასევე, საქმეში საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (N659), სადაც 2015 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ასაჩივრებდა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურას საქმე არსებითად განსახილველად მიიღო ოთარ სიჭინავამ, პლენუმს გადასცა ირინე იმერლიშვილმა, ხოლო გადაწყვეტილება მიიღო თეიმურაზ ტულუშმა.

საქართველოს კანონმდებლობა ზუსტად არ აყალიბებს მომხსენებელი მოსამართლის ცვლილების პროცედურას. კანონი ითვალისწინებს მხოლოდ ცვლილების დასაშვებობას, თუმცა იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვას ან გადაწყვეტას ჩამოცილდა წევრი, რომელიც დანიშნული იყო მომხსენებელ მოსამართლედ იგი არ აყალიბებს თუ რატომ ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ წევრს უპირატესობა. არსებული პრაქტიკა არ არის ერთგვაროვანი. ახალი მომხსენებელი მოსამართლე შეიძლება შეირჩეს რადგან მოსამართლისთვის ვადის ამოწურვის შემდგომ მოქმედი მოსამართლის პოზიცია ახალმა მოსამართლემ შეავსო, საქმის არსებითი განხილვისას ახალი მომხსენებელი მოსამართლე ესწრებოდა როგორც კოლეგიის წევრი ან სხვა მიზეზით. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავმჯდომარეთა რეზოლუციებს აღნიშნულ საკითხებზე არ აქვს ერთგვაროვანი ფორმა, ხშირ შემთხვევაში მითითებული არ არის რეზოლუციის მიღების თარიღი. ასევე, არ არსებობს მიღებული რეზოლუციის დასაბუთების ვალდებულება. რეზოლუციაში მოცემულია მხოლოდ იმ საქმეთა ჩამონათვალი სადაც კონკრეტული წევრი დანიშნულია მომხსენებელ მოსამართლედ, მიზეზი რის გამოც აღნიშნული წევრი საქმეს სცილდება და საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა წევრი რომელიც ინიშნება მომხსენებელ მოსამართლედ.

საქმის განხილვის ვადები

ზოგადი სტატისტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს¹²⁸. ვადის ათვლა იწყება სარჩელის/წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან. ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 თვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე. ორგანული კანონის თანახმად აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. თუმცა კანონი არ განმარტავს რა ითვლება განსაკუთრებულ შემთხვევად. არსებული მოწესრიგება არ აყალიბებს გადაწყვეტილების მიღების მკაფიო ვადას, იგი მხოლოდ განხილვის პერიოდს ადგენს. ორგანული კანონი ასევე არ განსაზღვრავს საქმის არსებითად განსახილველად მიღების

128 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 22.

ვადას. განსაკუთრებული პრობლემაა სარჩელთან ერთად დაყენებულ შუამდგომლობათა განხილვის ვადა.

თითოეული მომხსენებელი მოსამართლის მიერ საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის დასადგენად გათვალისწინებულ იქნა 2012 წლიდან 2023 წლის მაისის ჩათვლით მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილების ვადაში დამოუკიდებლად (სარჩელის რეგისტრაციიდან დავის გადაწყვეტამდე დანიშნული იყო მხოლოდ ერთი მომხსენებელი მოსამართლე) განხილულ საქმეთა ხანგრძლივობა. მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია როგორც საშუალო სტატისტიკური, ასევე მედიანური ხანგრძლივობა. შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვის ზოგადი ხანგრძლივობა შემდეგნაირად გამოიყურება:

საერთო მაჩვენებელი		
	საშუალო	მედიანა
რეგისტრაციიდან რა ვადაში დაინიშნა პირველი განმწესრიგებელი სხდომა	8 (თვე)	6 (თვე)
პირველი განმწესრიგებელი სხდომის შემდგომ რა ვადაში მიიღო საოქმო ჩანაწერი/განჩნება	1 (თვე)	0 (დღე)
საოქმო ჩანაწერის მიღებიდან რა ვადაში მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება	14 (თვე)	11 (თვე)
ჯამი	23 (თვე)	17 (თვე)

საქმეთა განხილვა

სარჩელის ხევისგზაციიდან ჩანიშნული პიჩვედი განმწესრიგებელი სხდომები

კანონით არ არის დადგენილი თუ რა ვადაში უნდა ჩაინიშნოს პირველი განმწესრიგებელი სხდომა, სადაც სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი წყდება. ასევე არ არსებობს რაიმე თვალსაჩინო ტენდენცია, რომლის საფუძველზეც შეიძლება პირველი განმწესრიგებელი სხდომის გამართვის პერიოდი ვივარაუდოთ. პრაქტიკაში პირველი განმწესრიგებელი სხდომა ჩატარდა როგორც სარჩელის რეგისტრაციის დღესვე¹²⁹, ასევე სარჩელის რეგისტრაციის 5 წლის შემდეგ¹³⁰. შესაბამისად, პირველი განმწესრიგებელი სხდომა შეიძლება ჩატარდეს როგორც სარჩელის რეგისტრაციის დღეს, ასევე რეგისტრაციიდან 1715-ე დღეს.

პირველ განმწესრიგებელ სხდომაზე განსაკუთრებით სწრაფად, სარჩელის რეგისტრაციიდან 2 კვირაზე ნაკლებ დროში, განიხილეს საქმეები:

- საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N763;

129 საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 763.

130 თორნიკე გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1335.

მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს 2016 წლის პირველ ივნისს, ამავე დღესვე საქმე გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს და სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე გაიმართა. მომხსენებელი მოსამართლე იყო მაია კოპალეიშვილი. დავა შეეხებოდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებს და მათი შექმნის წესს. სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო რეგისტრაციის დღეს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება 2 თვის ფარგლებში, 2016 წლის 20 ივლისს. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

- საქართველოს მოქალაქე გიორგი სეხნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N727;

მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2016 წლის 26 თებერვალს. საქმე პირველ კოლეგიას გადაეცა ამავე წლის 29 თებერვალს და ასევე გაიმართა განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე. მომხსენებელი მოსამართლე იყო ლალი ფაფიაშვილი. სარჩელი შეეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმებს, რომელიც აწესრიგებდა მოწმეთა დაკითხვის პროცედურასა და ბრალდებულის პატიმრობის ვადას. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო და 2017 წელს გამოსცა განჩინება.

- საქართველოს მოქალაქეები - ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჯანიძე, არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N764;

მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს 2016 წლის 3 ივნისს. ამავე დღეს საქმე პირველ კოლეგიას გადაეცა, ხოლო 6 ივნისს გაიმართა განმწესრიგებელი სხდომა. მომხსენებელ მოსამართლედ დაინიშნა კონსტანტინე ვარძელაშვილი. სარჩელი შეეხებოდა მითვისებისა და გაფლანგვის დასჯადობას, კერძოდ მოსარჩელები ითხოვდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას. ამავე დღეს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება პლენუმმა 2017 წელს მიიღო და სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსამართლეებმა ირინე იმერლიშვილმა, გიორგი კვერენჩილაძემ, მაია კოპალეიშვილმა და თამაზ ცაბუტაშვილმა დააფიქსირეს განსხვავებული აზრი.

- საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელები N768,769,790,792;

მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს 2016 წლის 13 ივნისს პირველი სარჩელით, საქმე პლენუმს ამავე დღეს გადაეცა. 17 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა გაიმართა ზეპირი მოსმენის გარეშე. მომხსენებელი მოსამართლე იყო გიორგი პაპუაშვილი. დავა შეეხებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ ნორმებს რომელიც აწესრიგებს საკონსტიტუციო სასამართლოს კვორუმსა და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო უმრავლესობას, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის წევრის მიმართვას, რათა საქმე განიხილოს პლენუმმა და ა.შ. 17 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელები არსებითად განსახილველად მიიღო, ხოლო 29 დეკემბერს (მომხსენებელი მოსამართლე - თეიმურაზ ტულუში) პლენუმმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოსამართლეებმა ირინე იმერლიშვილმა და მაია კოპალეიშვილმა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნეს განსხვავებული აზრი.

- *"ა(ა) იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" - სარჩელი N761;*

მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2016 წლის 27 მაისს, ხოლო პირველ ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო საოქმო ჩანაწერი საქმის პლენუმზე განსახილველად მიღების შესახებ. დავა შეეხებოდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებს და მათი შექმნის წესს. მომხსენებელი მოსამართლე იყო მაია კოპალეიშვილი. 2022 წელს პლენუმმა (მომხსენებელი მოსამართლე - ხვიჩა კიკილაშვილი) მიიღო განჩინება სარჩელზე საქმის შეწყვეტის შესახებ, რადგან №761 კონსტიტუციურ სარჩელზე სადავოდ გამხდარი ნორმები ძალადაკარგულია და საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს სადავო ნორმების არსებითად მსგავსი შინაარსის მქონე მოქმედი ნორმები, რომლებიც რელევანტური იქნება მოსარჩელის მიერ კონსტიტუციურ სარჩელში იდენტიფიცირებული სამართლებრივი პრობლემისათვის.

- *თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ - სარჩელი N1496;*

მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2020 წლის 23 აპრილს. საქმე მეორე კოლეგიას გადაეცა 24 აპრილს. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2020 წლის 29 აპრილს. მომხსენებელი მოსამართლე იყო ირინე იმერლიშვილი. მოსარჩელე დავობდა ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით დანესებული შეზღუდვის, საჯარო სივრცეში 3 პირზე მეტი რაოდენობით ფიზიკურ პირთა თავშეყრის აკრძალვის, კონსტიტუციურობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო, რადგან სარჩელი იყო დაუსაბუთებელი. შესაბამისად, 29 აპრილსვე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება.

- *გიორგი ქაუჭიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ - სარჩელი N1498;*

მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2020 წლის 23 აპრილს. საქმე მეორე კოლეგიას გადაეცა 24 აპრილს. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2020 წლის 29 აპრილს. მომხსენებელი მოსამართლე იყო მანანა კობახიძე. მოსარჩელე დავობდა ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიიდან გასვლის აკრძალვის კონსტიტუციურობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო. 2020 წლის 29 აპრილის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა სასამართლო აქტი აღნიშნულ საქმეზე აღარ მიუღია.

ზემოთ ჩაოთვლილ საქმეებთან ერთად ასევე სარჩელის რეგისტრაციის შემდგომ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ინიშნებოდა განმწესრიგებელი სხდომა საქმეებზე:

- *სარჩელი N1497 - პაატა ზანგურაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ - 7 დღე;*
- *სარჩელი N1499 - მიხეილ სამნიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ - 7 დღე;*
- *სარჩელი N1502 - ზაურ შერმაზანაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ - 9 დღე;*
- *სარჩელი N1636 - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 9 დღე;*
- *სარჩელი N670 - საქართველოს მოქალაქე ვახტანგ მენაბდე საქართველოს პარლამენტისა*

და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ - 10 დღე (პლენუმს გადაეცა თავმჯდომარის წინადადებით);

- სარჩელი N682 - საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 11 დღე;
- სარჩელი N1581 - შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 13 დღე;
- სარჩელი N574 - საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 14 დღე;
- სარჩელი N1493 - ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და სულხან სალაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ - 14 დღე;
- სარჩელი N1711 - საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ - 14 დღე;

აღნიშნული საქმეებიდან აშკარაა, რომ სასამართლომ ძირითადად 2 კვირიან პერიოდში განიხილა ისეთი საქმეები, რომელიც უკავშირდებოდა სისხლის სამართლის პროცესს, საარჩევნო რეგულაციას და კოვიდ პანდემიის პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვას. თუმცა, გადაჭარბებული იქნება განცხადება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის აღნიშნული საკითხები პრიორიტეტულია, რადგან საქმეთა მნიშვნელოვან ნაწილზე საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

პირველ განმწესრიგებელ სხდომაზე განსაკუთრებით ნელა, სარჩელის რეგისტრაციიდან სულ ცოტა 900 დღის შემდგომ, განიხილეს საქმეები:

- თორნიკე გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N1335;

მოსარჩელემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2018 წლის 20 ივლისს. საქმე მეორე კოლეგიას გადაეცა 23 ივლისს, ხოლო განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2023 წლის 31 მარტს. მომხსენებელი მოსამართლე იყო ირინე იმერლიშვილი. დავა შეეხებოდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვის ვადით შეჩერების კონსტიტუციურობას. საკონსტიტუციო სასამართლომ 31 მარტს მიიღო განჩინება და საქმეზე წარმოება შეწყვიტა.

- ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება“ და ირაკლი პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ - სარჩელი N1331;

მოსარჩელეებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს 2018 წლის 5 ივლისს. 10 ივლისს საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გადაეცა. თუმცა პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2022 წლის 4 ნოემბერს. მომხსენებელი მოსამართლე იყო გიორგი კვერენჩილაძე. დავა შეეხებოდა გაფიცვის უფლებას. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის დროისათვის საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის ის დებულებები, რომლებთან მიმართებითაც მოსარჩელე მხარე სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა ძალადაკარგულად გამოცხადდა. 2022 წლის 4 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება კონსტიტუციურ სარჩელზე საქმის შეწყვეტის შესახებ.

- ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული

შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის, 6,7 გრამის და 9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო - სარჩელები N1239,1642,1674;

პირველი წარდგინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – თეა ლეონიძემ) მიმართა 2017 წლის 28 ივნისს. საქმე პლენუმს ამავე წლის 5 ივლისს გადაეცა. №1239 კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2020 წლის 14 თებერვალს. წარდგინება შეეხებოდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის , პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანას. მომხსენებელი მოსამართლე იყო მერაბ ტურავა. 2020 წლის 14 წელს საოქმო ჩანაწერით საქმე არსებითად განსახილველად იქნა მიღებული. მოსამართლე ირინე იმერლიშვილმა დააფიქსირა განსხვავებული აზრი. 2022 წლის 21 აპრილს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება და არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიბონტალური გრაფით განსაზღვრულ ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (არაუმეტეს 9.68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო.

- ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელები N648, 1315, 1369, 1370, 1371, 1372, 1373, 1374, 1375, 1379, 1385, 1386, 1388, 1391, 1397, 1398, 1405, 1406, 1407, 1411, 1413, 1414, 1415;

მოსარჩელე ლევან მესხმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2015 წლის 8 მაისს. საქმე მეორე კოლეგიას გადაეცა 2015 წლის 11 მაისს. ხოლო 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2019 წლის 17 აპრილს. მომხსენებელი მოსამართლე იყო თამაზ ცაბუტაშვილი. დავა შეეხებოდა პარლამენტის ყოფილი წევრის სახელმწიფო პენსიის ოდენობის ცვლილებას. პლენუმმა საქმე არსებითად განსახილველად მიიღო. 2020 წლის 29 დეკემბერს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და სასარჩელო მოთხოვნები არ დააკმაყოფილა.

- ციცი ქელიძე, სოფიკო ჭიჭონაია, ანა გაგუა და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ - სარჩელი N1432;

მოსარჩელეებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს 2019 წლის 18 ივლისს. საქმე მეორე კოლეგიას გადაეცა 19 ივლისს, ხოლო კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2023 წლის 11 მაისს. მომხსენებელი მოსამართლე იყო თეიმურაზ ტულუში. სადავო ნორმები შეეხებოდა სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების წესს. 2023 წლის 11 მაისს მეორე კოლეგიამ საქმე არსებითად განსახილველად მიიღო.

- *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N1392;*

სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2019 წლის 29 იანვარს. საქმე პლენუმს გადაეცა ამავე წლის 31 იანვარს, ხოლო პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2022 წლის 4 ნოემბერს. მომხსენებელი მოსამართლე იყო ვასილ როინიშვილი. სახალხო დამცველის მოსაზრებით სადავო ნორმა, რომელიც გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული, შეიცავს იმგვარი წაკითხვის საფრთხეს, რომლითაც შეზღუდვა ვრცელდება, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენციაზე. შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველს თითქმის სრულად ერთმევა შესაძლებლობა, საარჩევნო წელს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების კონსტიტუციურობა, რითაც მნიშვნელოვნად იზღუდება მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე არჩევნების წარმართვას ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვის პირობებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2022 წლის 4 ნოემბერს მიიღო განჩინება და სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

- *ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N1353;*

მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2018 წლის 3 ოქტომბერს. საქმე პირველ კოლეგიას გადაეცა 2018 წლის 4 ოქტომბერს. ხოლო განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2022 წლის 16 ივნისს. მომხსენებელი მოსამართლე იყო გიორგი თევდორაშვილი. მოსარჩელები დავობდნენ, რომ საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას, მაშინ როცა პირს ედავებიან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, არ ადგენენ კანონიერი იყო თუ არა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ კონკრეტულ ვითარებაში მოსარჩელეთა მიმართ წარდგენილი მოთხოვნა. 2022 წლის 16 ივნისის განჩინების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე წარმოება შეწყვიტა, რადგან სადავო ნორმამ ძალა დაკარგა კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე.

- *რემზი შარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N1409;*

მოსარჩელემ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2019 წლის 12 მარტს. საქმე პლენუმს გადაეცა 15 მარტს, ხოლო პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2022 წლის 4 ნოემბერს. მომხსენებელი მოსამართლე იყო ირინე იმერლიშვილი. დავა შეეხებოდა ნორმას რომელიც არეგულირებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, დასკვნის, განჩინებისა და საოქმო ჩანაწერის გამოცხადებისა და გამოქვეყნების წესს. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისა და გამოცხადებისთვის ვადის განუსაზღვრელობას. 2022 წლის 4 ნოემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება და საქმე არ მიიღო არსებითად განსახილველად.

- *აიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, აიპ „აპრიორი“ და აიპ „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - სარჩელი N1297;*

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსარჩელებმა მიმართეს 2018 წლის 27 თებერვალს.

საქმე პლენუმს გადაეცა 5 მარტს, ხოლო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2021 წლის 21 ოქტომბერს. მომხსენებელი მოსამართლე იყო გიორგი თევდორაშვილი. დავა შეეხებოდა არჩევნების/რეფერენდუმის/პლებისციტის დანიშვნამდე, არასაარჩევნო პერიოდში არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის მიზნით განცხადებით მიმართვის, დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერი რგოლის საქმიანობაზე დაკვირვების შესაძლებლობის აკრძალვას. 2021 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე წარმოება შეწყდა რადგან მოსარჩელებმა უარი თქვეს სასარჩელო მოთხოვნაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებთან ერთად ასევე სარჩელის რეგისტრაციის შემდგომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არინიშნებოდა განმწესრიგებელი სხდომა საქმეებზე:

- N1341,1660 - თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე - 1288 დღე;
- N1452 - „სს საქართველოს ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 1262 დღე;
- N1447 - რეზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ - 1253 დღე;
- N1387 - თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება – „კანაფის ფისის“ (0,1315 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, არაერთგზის შექენა-შენახვის გამო - 1132 დღე;
- N1462 - ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 1075 დღე;
- N1470 - ფრიდონ ბასილაია და აკაკი თოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - 1047 დღე;
- N628 - უცხო ქვეყნის საწარმო „STREAMLINE HOSPITALITY PROPERTIES LIMITED“ („სტრიმლაინ ჰოსპიტალიტი პროპერტის ლიმიტედ“) საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ - 969;
- N1500 - ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ - 918;

ზემოთ ჩამოთვლილ საქმეთა დიდი ნაწილი 2018-2019 წლებშია რეგისტრირებული, ხოლო განმწესრიგებელი სხდომა 2022-2023 წლებში დაინიშნა; 2019-2020 წლებში შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

საქმეებს შორის ძირითადად შინაარსობრივი კავშირი არ არის, გაჭიანურებული საქმეები არის ნაკლებად პოლიტიზირებული/აქტუალური საზოგადოებაში (თუმცა რამოდენიმე საქმე კვლავ შეეხება სისხლის სამართლის პროცესსა და საარჩევნო რეგულაციას). თუმცა, მათ ასევე არსებითი შემხებლობა აქვთ მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ამასთანავე, თვალსაჩინოა რომ საქმეთა დიდ ნაწილზე წარმოება შესწყდა რადგან მოსარჩელებმა ინტერესი დაკარგა დავის მიმართ, ან სადავო კანონმდებლობა შეიცვალა/ძალა დაკარგა სარჩელის განხილვამდე.

გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით საქმეებს სადაც სასამართლო განსაკუთრებით სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა ასეთი შემთხვევები მაინც ფიქსირდება. საკონსტიტუციო სასამართლომ 162 გადაწყვეტილებიდან სარჩელით/წარდგინებით მიმართვიდან 1 წლის ფარგლებში მიიღო მხოლოდ 25 გადაწყვეტილება (იხ. დანართი 3).

ყველაზე მეტი ასეთი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წელს მიიღო, ხოლო ბოლო შემთხვევა 2022 წელს დაფიქსირდა. კოლეგიებს შორის 1 წლის ვადაში ყველაზე მეტი გადაწყვეტილება პირველმა კოლეგიამ მიიღო. .

დავათა უმეტესი ნაწილი შეეხება არჩევნების მარეგულირებელ კანონმდებლობას, სისხლის სამართლის პროცესსა და საზოგადოებისთვის იმ დროისთვის აქტუალურ თემებს. მოსარჩელეთა უმეტესი ნაწილი დეპუტატი ან პოლიტიკური პარტიის წევრია.

მაგალითად, ყველაზე სწრაფად, ორი თვის ვადაში, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე “საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, რომელიც პლენუმმა განიხილა.

საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო დავები, რომელიც შეეხება გიგი უგულავას და ნიკა მელიას საქმეებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას, მარიხუანას მოხმარებას, დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სისტემას.

25 გადაწყვეტილებიდან 2 საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებაა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებდა გამართლებული პირის მიერ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას. მეორე წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა მოსამართლე ბადრი ნიპარიშვილმა სადაც იგი სადავოდ ხდიდა იმ ნორმათა მნიშვნელობას, რომელიც გამორიცხავს შეჩერებული საქმის განახლებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხს გადაწყვეტამდე.

5 წელიწადზე მეტი დრო დაჭირდა საკონსტიტუციო სასამართლოს 5 საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად:

- „ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - N876;
- მირზა გიგლემიანი და ლეონიდე მიქაბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - N1296,1396;
- საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - N926;
- საქართველოს მოქალაქე ლევან მესხი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - N648;
- საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - N813.


რთულია იმის დადგენა, თუ რა მიზეზით გაჭიანურდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მაგალითად საქმეზე “ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის

წინააღმდეგ“ კონსტიტუციური დავა დაიწყო 2015 წლის 8 მაისს, 2016 წლის 15 აპრილს მეორე კოლეგიამ (მოსამართლეები: ზაზა თავაძე, თამაზ ცაბუტაშვილი, ოთარ სიჭინავა, ლალი ფაფიაშვილი) მიიღო განჩინება საქმის პლენუმისთვის გადაცემის შესახებ. თუმცა პლენუმმა საქმის არსებითად განსახილველად საოქმო ჩანაწერი მხოლოდ 4 წლის შემდგომ, 2019 წლის 17 აპრილს მიიღო და საქმე გააერთიანა 2018-2019 წლებში მიღებულ სხვა სარჩელებთან. უცნობია, თუ რატომ გაჭიანურდა საოქმო ჩანაწერის ან საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესი პირველ სარჩელზე და რატომ დაელოდა საკონსტიტუციო სასამართლო 2018-2019 წლებში ახალი სარჩელების მიღებას საქმის არსებითი განხილვის სხდომის გასამართლად.

“უცხო ქვეყნის საწარმო „ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” და “ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” საქმეთა გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მომხსენებელ მოსამართლეთა ცვლილება. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვიდან მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე საქმეები წარმოებაში იყო სულ ცოტა 4 წელი¹³¹, ხოლო მომხსენებელი მოსამართლის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევამდე 3 წელი¹³².

საინტერესოა ასევე საქმე “გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, რომელიც დაახლოებით 6 წელი განიხილებოდა. საქმე სარჩელის რეგისტრაციიდან მალევე მიიღეს არსებითად განსახილველად. 2017 წელს პირველი კოლეგია შედგებოდა მოსამართლეებისგან ლალი ფაფიაშვილი, მერაბ ტურავა, გიორგი კვერენჩილაძე. ლალი ფაფიაშვილი იყო როგორც სხდომის თავმჯდომარე, ასევე მომხსენებელი მოსამართლე. 2017, 2018 და 2019 წლებში გაიმართა 5 არსებითი განხილვა, ზეპირი მოსმენით. საბოლოოდ სასამართლომ გადაწყვეტილება 2022 წლის 4 ნოემბერს მიიღო. კოლეგია შედგებოდა მოსამართლეებისგან: გიორგი კვერენჩილაძე, ევა გოცირიძე (მომხსენებელი მოსამართლე), ვასილ როინიშვილი (სხდომის თავმჯდომარე), გიორგი თევდორაშვილი; კოლეგიის ორმა წევრმა გიორგი თევდორაშვილმა და გიორგი კვერენჩილაძემ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი დააფიქსირეს. შესაძლებელია, საქმის გაჭიანურების მიზეზი კოლეგიის შემადგენლობის ცვლილებასთან ერთად ყოფილიყო კოლეგიაში აზრთა სხვადასხვაობა.

გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ზოგადი სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



131 ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 813;

132 უცხო ქვეყნის საწარმო „ბრიტიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 876;

გაჭიანუხებული დავები გადაწყვეტილების გაჩეხვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში 2012 წლიდან დღემდე არაერთი საქმეა. აღნიშნული საქმეებიდან ერთი საოქმო ჩანაწერი ან განჩინება (პლენუმისთვის გადაცემის ან შუამდგომლობის შესახებ) მიღებულია 97 შემთხვევაში (იხ. დანართი 4).

2015 წლიდან დაიწყო საქმეთა შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 23 მარტს სარჩელით მიმართა შპს „გამომცემლობა ინტელექტმა“, შპს „გამომცემლობა არტანუჯმა“, შპს „ლოგოს პრესმა“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძემ¹³³. მოსარჩელები დავობდნენ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ წინადადების კონსტიტუციურობაზე, რომლის მიხედვითაც „საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას“. მოსარჩელები სადავო საკითხს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებაში აყენებდნენ. საქმე პირველმა კოლეგიამ (კონსტანტინე ვარძელაშვილი - წევრი, მომხსენებელი მოსამართლე) პლენუმს გადასცა სარჩელის რეგისტრაციიდან მეორე დღეს. პლენუმმა საქმე 2015 წლის 25 ნოემბერს განიხილა და არსებითად განსახილველად მიიღო. 2016 წელს „ააიპ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება¹³⁴, რომლის მიხედვითაც მოუწოდა სასამართლოს არაკონსტიტუციურად ეცნო სადავო ნორმა. 2015 წლის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი სასამართლო აქტი არ მიუღია.

აღნიშნული საქმის მსგავსად, 2015 წლის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი სასამართლო აქტი არ მიუღია კიდევ ერთ საქმეზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 სექტემბერს სარჩელით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფმა, სულ 39 დეპუტატმა¹³⁵, სადაც მოსარჩელები დავობდნენ 2015 წელს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებულ ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს ჩამოერთვა საფინანსო სექტორის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა რადგან შეიქმნა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო“. 2015 წლის 12 ოქტომბერს პლენუმმა (ქეთევან ერემაძე - წევრი, მომხსენებელი მოსამართლე) საქმე არსებითად განსახილველად მიიღო. 22 ოქტომბერს „ააიპ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება¹³⁶.

საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალი მოსარჩელე მიმართავს, თუმცა ერთი და იგივე პირი იშვიათად იყენებს აღნიშნულ მექანიზმს სისტემატიურად. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველი. სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს 65-ი სარჩელით მიმართა. აქედან გადაწყვეტილება მხოლოდ 9 სარჩელზე მიიღო, ხოლო განჩინება საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესახებ 21 შემთხვევაში გამოსცა. 16 შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული აქვს მხოლოდ საოქმო ჩანაწერი ან განჩინება (პლენუმისთვის გადაცემის ან შუამდგომლობის შესახებ) და

133 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე N3/7/635 „შპს გამომცემლობა ინტელექტი“, „შპს გამომცემლობა არტანუჯი“, „შპს ლოგოს პრესი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 25.11.2015. (ხელმისაწვდომია: <https://t.ly/7ANQ7>, 05.06.2023).

134 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება: ავტორი-„ააიპ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ac635, 08.02.2016. (ხელმისაწვდომია: <https://t.ly/-8GZ>, 05.06.2023).

135 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე N3/6/668 საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 12.10.2015. (ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/1s187>, 05.06.2023).

136 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება: ავტორი-„ააიპ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 22.10.2015. (ხელმისაწვდომია: <https://t.ly/L6SdA>, 05.06.2023).

სარჩელის რეგისტრაციიდან გასულია სულ ცოტა 1 წელი. 8 შემთხვევაში კი რეგისტრაციიდან 1 წელი გავიდა, თუმცა სასამართლოს არცერთი სასამართლო აქტი არ მიუღია (იხ. დანართი 5). შესაბამისად, 24 საქმეს საკონსტიტუციო სასამართლო სულ ცოტა 1 წელია განიხილავს. სახალხო დამცველის ამჟამად ყველაზე ხანგრძლივი დავა 2015 წელს დაიწყო.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ¹³⁷. დავა შეეხებოდა პირის გამოსაკვლევად წარდგენის შემთხვევაში „ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგების“ კონსტიტუციურობას. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ (ლალი ფაფიაშვილი - სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე) საქმე არსებითად განსახილველად მიიღო 2017 წლის 7 აპრილს, ამავე წელს მომხსენებელ მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. შემდგომ წლებში სასამართლოს აღნიშნულ საქმეზე ახალი სასამართლო აქტი არ მიუღია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია რამოდენიმე წარდგინების შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი საქმე 8 წელია წარმოებაშია. 2015 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მამია ფხაკაძემ¹³⁸ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სადავო ნორმა შეეხებოდა სამხედრო ვალდებულების მოხდისთვის თავის არიდების მიზნით კომისიაში გამოუცხადებლობისთვის დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობას. 2016 წელს პლენუმმა (მაია კოპალეიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე) საქმე არსებითად განსახილველად მიიღო. 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმესთან დაკავშირებით წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება¹³⁹. 2016 წლის შემდგომ სასამართლოს საქმეზე ახალი სასამართლო აქტი არ მიუღია.

დღესდღეობით საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი ან განჩინება (პლენუმისთვის გადაცემის ან შუამდგომლობის შესახებ) მიღებული აქვს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას აჭიანურებს ისეთ საქმეებზე რომელიც შეეხება პანდემიის პერიოდში დაწესებულ შეზღუდვებს, სასამართლო რეფორმის სხვადასხვა ასპექტებს, საერთო სასამართლოებისა და თავად საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურულ საკითხებს, საპენსიო რეფორმას, სავალდებულო სამხედრო სამსახურს, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებასა და მასთან დაკავშირებულ პასუხიმგებლობებს, რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეთა პროცესს, ასევე მოსმენების საქმესა და ა.შ. აღნიშნულ საქმეთა შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ან განხილვის გაჭიანურებას შეიძლება მრავალი მიზეზი ქონდეს. გარდა საქმეთა გაერთიანებისა, კოლეგიის შემადგენლობის ცვლილებისა, მომხსენებელი მოსამართლის უფლებამოსილების ამოწურვისა, დავის განხილვა შეიძლება გაიწელოს თუ საქმეზე არსებობს მოსამართლეთა აზრთა სხვადასხვაობა, დაგეგმილია ან განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, სასამართლო სხვა საქმეზე გადაწყვეტილებას ელოდება, თუ მხარეებმა

137 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე N1/11/697 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, 07.04.2017.

138 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე N3/8/684 რუსთავის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1971 მუხლის მეორე ნაწილის და ამავე მუხლის შენიშვნის კონსტიტუციურობის თაობაზე, 14.12.2016. (ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/99cl9> , 05.06.2023).

139 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება: ავტორი-„შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“, ვახტანგ ლეჟავა, რექტორი, ac684, 26.10.2017. (ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/aeuk9> , 05.06.2023).

მოსამართლეები აიცილეს ან რთულია მხარეებისთვისა და სასამართლოსთვის სხდომათა გასამართლად მისაღები თარიღის შერჩევა.

საინტერესოა, რომ წლებთან ერთად საქმეთა განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების ტენდენცია მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელ წლებში. აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2018 წლიდან. თუ თავდაპირველად უმეტეს შემთხვევაში საქმეთა შესახებ მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჭიანურდებოდა, 2018 წლიდან გაიზარდა ისეთი შემთხვევების რაოდენობა, როდესაც 1-3 თვის ნაცვლად (ძირითადი ტენდენცია 2012-2016 წლებში) საოქმო ჩანაწერის / განჩინების მიღებას თითქმის 1 წელი სჭირდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2016 წელს მაღალმა მიმართვიანობამ სხვადასხვა სადავო ნორმებზე. საქმეთა დროულ განხილვაზე ასევე ნეგატიური გავლენა ჰქონდა ამავე პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს რამოდენიმე წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვას.

ასევე, 2021 წლის 6 აგვისტოს პლენუმის გადაწყვეტილებით სასამართლოს კოლეგიების შემადგენლობის გადახალისების შემდგომ კიდევ ერთხელ შეიცვალა მრავალ გაჭიანურებულ საქმეზე დანიშნული მომსახურებელი მოსამართლის ვინაობა. აღნიშნულს, რა თქმა უნდა, დადებითი გავლენა ვერ ექნებოდა საქმეთა დროულ განხილვაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში ასევე არის არაერთი საქმე, რომელთა შესახებაც არ არის მიღებული სასამართლოს არცერთი აქტი (იხ. დანართი 5). მაგალითად, 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით (724) მიმართეს საქართველოს მოქალაქეებმა ნიკოლოზ ნინოშვილმა, ლევან ჩაჩანიძემ, მათა კანაშვილმა. დავა შეეხებოდა ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენის შემთხვევაში სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურობას. მიუხედავად იმისა, რომ საქმე უკვე 7 წელია საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაშია, დაინტერესებულ პირთათვის უცნობია საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს თუ არა სარჩელს არცებითად განსახილველად.


ასევე განუხლიველი რჩება გიგი უგულავას საქმე (762), რომელიც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 7 სხვადასხვა მუხლის კონსტიტუციურობას. გიგი უგულავამ 2016 წელს პატიმრობაში ყოფნისას რამოდენიმე კონსტიტუციური დავა დაიწყო. იგი 2017 წელს გაანთავისუფლეს. მართალია 2020 წელს მას კიდევ ერთხელ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, თუმცა ამჟამად იგი თავისუფალია.

განსახილველ საქმეთა დიდი ნაწილი შეეხება სისხლის სამართლის სხვადასხვა ნორმებს, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლო სისტემის მარეგულირებელ ნორმებს, რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს, პანდემიასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და ა.შ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2016 წლიდან 2022 წლის აგვისტომდე რეგისტრირებული სარჩელებიდან/წარდგინებებიდან არცერთი სასამართლო აქტი არ გამოქვეყნდა, თუმცა ჩატარდა განმწესრიგებელი სხდომა ან ელოდება განმწესრიგებელი სხდომის ჩატარებას 69 საქმეზე.

2026-2027 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს 5 წევრს ეწერება უფლებამოსილების ვადა. ამასთანავე, 2025 წელს უფლებამოსილების ვადა ეწერება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავას. შესაბამისად, აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლომ დროულად განიხილოს დაგროვებული საქმეები, რათა მომავალ წლებში კიდევ უფრო არ გაუარესდეს საქმეთა განხილვის გაჭიანურება.

2023 წლის მაისის მდგომარეობით საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეთა საერთო რაოდენობის 70%-ზე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება/განჩინება.



საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი

სამართლებრივი საფუძვლები, შერჩევის კრიტერიუმები და თანამდებობაზე განწესების პროცედურა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის უფლებამოსილება განსხვავდება სახელმწიფოების სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების მიხედვით. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში კანდიდატების შერჩევა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა, მაშინ როდესაც ზოგიერთ სახელმწიფოში აღნიშნულ უფლებამოსილებას საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებიც იზიარებენ.

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ინიცირების უფლებამოსილება ხელისუფლების სამივე შტოზეა გადანაწილებული. საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო 10 წლის ვადით არჩეული 9 მოსამართლისგან შედგება¹⁴⁰. კონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

შერჩევის კრიტერიუმები

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კრიტერიუმებს განსაზღვრავს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის

140 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60.

გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია¹⁴¹. გარდა ამისა, ორგანული კანონის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევის უფლებამოსილების მქონე თითოეული ორგანო ითვალისწინებს კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს.

როგორც ვხედავთ, ორგანული კანონი მოსამართლეთა შერჩევისათვის ითვალისწინებს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კრიტერიუმებს, თუმცა განსხვავებით საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცედურისა, ორგანული კანონი დამატებით არ განსაზღვრავს სუბიექტური კრიტერიუმებით შეფასების წესს. ამდენად, კანონმდებლობაში არ არსებობს რაიმე რეგულირება, რითაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები იხელმძღვანელებდნენ ისეთი კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისას, როგორცაა „გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია“ და „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსთან შესაფერისობა“.

პარლამენტის მიერ მოსამართლეთა აჩრევა

პარლამენტში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატის ნომინირების უფლებამოსილება გააჩნიათ პარლამენტის თავმჯდომარეს, ფრაქციას და უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანდიდატურას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობაზე.

პარლამენტი სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს. კანდიდატების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ იურიდიულ საკითხთა კომიტეტი სხდომაზე უსმენს თითოეულ კანდიდატს, თუმცა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს კანდიდატის მოსმენა და რის გამოკვლევა უნდა მოხდეს კომიტეტზე. მაგალითისთვის, პარლამენტის მიერ ბოლოს არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ევა გოცირიძის მოსმენა მხოლოდ 45 წუთს გაგრძელდა¹⁴². კანონმდებლობის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევისას ტარდება ფარული კენჭისყრა, რა დროსაც პლენარულ სხდომაზე აღარ ხდება კანდიდატის მოსმენა.

უზენაესი სასამართლოს მიერ მოსამართლეთა აჩრევა

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა 3 წევრის დანიშვნის უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს პლენუმს ეკუთვნის. კანდიდატს ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, კენჭისყრის შედეგად არჩეულად მიიჩნევა ის პირი, რომელიც დამსწრეთა ხმების 2/3-ს მიიღებს. აღნიშნული პროცედურის გარდა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კანდიდატის მოსმენის სავალდებულობას, კანდიდატის არჩევამდე წინასწარ დასახელების ვალდებულებას, პროცესის საჯაროობის ვალდებულებას და სხვა.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურის გაუმჭირვალობის დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ 2020 წელს დანიშნული ორი მოსამართლის მაგალითი. 2020 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უზენაესი სასამართლოს კვოტით ორი წევრი აირჩია. პირველი იყო

141 “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7.

142 პარლამენტმა ევა გოცირიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია, netgazeti.ge, 01.12.2017. (ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/1r6nn>, 15.06.2023)

მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილი¹⁴³, რომელიც, მოწოდებების მიუხედავად, თანამდებობაზე საგანგებო მდგომარეობის დროს, 2020 წლის 3 აპრილს განწესდა (რაც პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობის შესაძლებლობას ამცირებდა). კანდიდატის ვინაობის შესახებ ინფორმაცია თავად პლენუმის წევრებსაც არ ჰქონდათ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პროცესი უარყოფითად შეფასდა. თუმცა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა მიღებული გამოცდილება და იგივე განმეორდა 2020 წლის 29 მაისსაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ვასილ როინიშვილი¹⁴⁴ დანიშნის დროს.

პრეზიდენტის მიერ მოსამართლეთა დანიშვნა

კანონმდებლობით მხოლოდ ის არის დადგენილი, თუ რა ვადაში უნდა დანიშნოს საქართველოს პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე. კანდიდატთა ინიცირების, შესაბამისობისა და კომპეტენტურობის შემოწმების თვალსაზრისით პრეზიდენტი ფართო დისკრეციით სარგებლობს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის აირჩევა

საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრის მიერ ფიცის დადებიდან ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომა, რომელზედაც 5 წლის ვადით აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია. თუ არჩევის მომენტისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის ან მისი მოადგილეობის კანდიდატის, როგორც სასამართლოს წევრის, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 5 წელზე ნაკლებია დარჩენილი, ის თანამდებობაზე აირჩევა სასამართლოს წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დახურულ სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ან უხუცესი მოსამართლე. პლენუმი უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება არანაკლებ 6 წევრი.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ ცოტა 3 წევრს. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმა წევრმა შეიძლება ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთი კანდიდატურის წარდგენას.

სხდომას ხსნის სხდომის თავმჯდომარე, რომელიც სასამართლოს წევრებს მოახსენებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის/კანდიდატების შესახებ. შემდგომ სიტყვა ეძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატს/კანდიდატებს. მოსამართლეებს შეუძლიათ დაუსვან კანდიდატს/კანდიდატებს შეკითხვები, ასევე მოკლე სიტყვით მიმართონ სხდომის მონაწილეებს. გამოსვლების დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე სხდომას დასამტკიცებლად წარუდგენს კენჭისყრის ბიულეტენის ფორმას და მისი შევსების წესს, რომელსაც სხდომა ამტკიცებს სხდომის დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის თაობაზე ჩატარებული კენჭისყრა ფარულია.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ ფარული

კენჭისყრის დროს მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5-მა წევრმა.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად მხოლოდ 1 პირი დასახელდა და მან ვერ მიიღო თავმჯდომარედ არჩევისთვის საკმარისი ხმები, 1 კვირის ვადაში, იმავე პროცედურით სახელდება ახალი კანდიდატურა (კანდიდატურები), რომელიც არჩეულად ჩაითვლება ხმათა იმავე რაოდენობის მიღების შემთხვევაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად 2 ან 3 პირი დასახელდა და ვერცერთმა ვერ მიიღო თავმჯდომარედ არჩევისთვის საკმარისი ხმები, იმავე დღეს იმართება კენჭისყრის მე-2 ტური, რომელში მონაწილეობის უფლებაც აქვს საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ მეორე ადგილზე ერთნაირი შედეგით 2 კანდიდატი გავიდა, კენჭისყრის მე-2 ტურში სამივე კანდიდატი მონაწილეობს. თუ რომელიმე კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, კენჭი ეყრება დარჩენილ კანდიდატს (კანდიდატებს). თუ ვერცერთმა კანდიდატმა კვლავ ვერ მიიღო თავმჯდომარედ არჩევისთვის საკმარისი ხმები, 1 კვირის ვადაში, იმავე წესით სახელდება ახალი კანდიდატურა (კანდიდატურები).

სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების აჩრევა

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ჰყავს ორი მოადგილე. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები ამავდროულად არიან კოლეგიის თავმჯდომარეები და უძღვებიან კოლეგიის ხდომას. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები არჩეულად ჩაითვლებიან, თუ ფარული კენჭისყრის დროს მათ მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5-მა წევრმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან ან უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის მოადგილე. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევისათვის დახურულ სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ხსნის სხდომას და წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია, აირჩიოს თავმჯდომარის მოადგილე, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ 6 წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურის იდენტური პროცედურით.

მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილება არ იყოს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის ხელში. უფრო დემოკრატიული იქნებოდა კანდიდატების დასახელება იგივე პროცედურით ხდებოდა როგორც სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატთა დასახელება ხდება. მეტიც, იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები ამავდროულად კოლეგიების თავმჯდომარეებიც არიან, უფრო სამართლიანი იქნებოდა კოლეგიის თავმჯდომარის არჩევის უფლებამოსილება კოლეგიის წევრებს გააჩნდეთ.

საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის აჩქევა

საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების საკითხების მხარდაჭერას და ამავდროულად იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ერთი თვისა ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომას და წარუდგენს მას საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის კანდიდატურას. მდივნის არჩევნის პროცედურაზეც ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევნისთვის განკუთვნილი პროცედურა როგორც ზემოთ იქნა მითითებული ამ შემთხვევაშიც უფრო დემოკრატიული იქნებოდა სასამართლოს მდივნის კანდიდატურის წარდგენა არ იყოს მხოლოდ თავმჯდომარის უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის არჩევამდე ან მდივნის მიერ თავისი უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის მოვალეობას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით, დროებით ასრულებს ერთ-ერთი მოსამართლე, რომელიც, იმავდროულად, არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. ამასთან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პლენუმს წარუდგენს წინადადებას მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე. ერთი და იმავე პირის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის მოვალეობის დროებით შესრულების ვადა უწყვეტად არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

კოლეგიების შემადგენლობის ფორმირება

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს სასამართლოს პლენუმი თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე. ორგანული კანონის თანახმად, მნიშვნელოვანია კოლეგიებში რაც შეიძლება თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმნესებული მოსამართლეები.

ორგანული კანონი ითვალისწინებს ორ საფუძველს, რა რდოსაც უნდა მოხდეს კოლეგიების გადახალისება. კერძოდ, სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევიდან 10 დღეში სავალდებულოა კოლეგიის შემადგენლობის გადახალისება. კოლეგიის შემადგენლობა ასევე შეიძლება გადახალისდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა რაოდენობის ორი ან ორზე მეტი წევრით შეცვლიდან ერთი თვის ვადაში. აღნიშნული უფლებამოსილება განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დისკრეციულ უფლებამოსილებას და ორგანული კანონი არ განსაზღვრავს ზუსტად რა შემთხვევებში შეიძლება მოცემული გარემოება გახდეს კოლეგიის შემადგენლობის ფორმირების საფუძველი.

კოლეგიების პერსონალური შემადგენლობის ფორმირების/გადახალისების მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არჩევიდან 3 დღის ვადაში იწვევს პლენუმის სხდომას. პლენუმი უფლებამოსილია თუ მას ესწრება არანაკლებ 6 მოსამართლე. პლენუმს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეგიათა პერსონალურ შემადგენლობას. კოლეგიების შემადგენლობა მტკიცდება ღია კენჭისყრით. კოლეგიების შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე მოსამართლეთა უმრავლესობა.

თუ პლენუმი არ დაამტკიცებს კოლეგიების შემადგენლობას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 2 დღის განმავლობაში იწვევს პლენუმის სხდომას და წარუდგენს მას კოლეგიების იმავ ან სხვა შემადგენლობას. აღნიშნული წესი გამოიყენება იქამდე, სანამ არ დამტკიცდება კოლეგიის შემადგენლობა.

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებები

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების სამართლებრივი საფუძვლები

დღეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები (მუხლი 59.1). აქედან პირველი საკონსტიტუციო კონტროლზე პასუხისმგებელი, ხოლო მეორე - მართლმსაჯულების განხორციელებას უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, საერთო სასამართლოების მოსამართლეებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა გამოავლინონ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები ან/და შესაძლო რისკები, ვინაიდან სწორედ ისინი განიხილავენ ყოველდღიურ რეჟიმში სხვადასხვა ტიპის დავებს და ახდენენ ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმის გამოყენებას სხვადასხვა შინაარსითა თუ დანიშნულებით.

საკანონმდებლო მოწესრიგებაზე დაკვირვებულ და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ მოსამართლეს, შეუძლია საკუთარი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში იზრუნოს არაკონსტიტუციური საკანონმდებლო ჩანაწერების გასწორებაზე. მეტიც, რიგ შემთხვევაში მოსამართლეები დავის მონაწილე მხარეებზე უპირატეს მდგომარეობაშიც შესაძლოა აღმოჩნდნენ. მოდავე მხარეები, რომლებიც ძირითადად საკუთარი ვიწრო სამართლებრივი პრობლემის მოგვარებაზე არიან ორიენტირებულნი, შესაძლოა ვერ იაზრებდნენ იმ მასშტაბურ ზიანს, რომელსაც კონკრეტულ საქმეში გამოსაყენებელი მატერიალური თუ პროცესუალური საკანონმდებლო მოწესრიგება შეიძლება ქმნიდეს. სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის “გ” ქვეპუნქტი საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობას. მიმართვის კონსტიტუციური საფუძვლის პარალელურად, ამ ინსტრუმენტით სარგებლობის პროცედურულ საკითხებს “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონი აწესრიგებს. კერძოდ, კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.”

ერთი შეხედვით, კანონის ეს ჩანაწერი იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ სასამართლომ, მიუხედავად იმისა, თუ რა კატეგორიის საქმეს განიხილავს - იქნება ეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი დავა, თავად იღებს გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლო წარდგინებით მიმართვის შესახებ გადაწყვეტილებას მხარის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს, რაც ეწინააღმდეგება წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების ზოგად, მანამდე დასახელებულ წესს. საკანონმდებლო ხარვეზს ვხვდებით ასევე “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანულ კანონშიც. კერძოდ, კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს

პლენუმი უფლებამოსილია საქართველოს *კონსტიტუციის 89-ე მუხლის პიხვედი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად*, კონკრეტული საქმის განხილვასთან და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში 89-ე მუხლს აღარ გვხვდება და აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჩანაწერიც ცვლილებას საჭიროებს, პრობლემა არისიც ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების ავტორი შეიძლება იყოს საქმის განმხილველი სასამართლო/მოსამართლე, ხოლო პლენუმი ამ გაგებით “სასამართლო” არ არის, იგი ორგანიზაციულ საკითხებს წყვეტს.

ის, რომ კონსტიტუციური წარდგინება ადამიანის უფლების დაცვის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი მექანიზმია, ხაზგასმულია საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის #3/1/608, 609 გადაწყვეტილებაშიც. სადაც სასამართლო მიუთიებს, რომ “კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, რომელიც საშუალებას აძლევს საერთო სასამართლოებს, თავიდან აიცილონ სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა კონსტიტუციურ ღირებულებებს პრაქტიკულ და რეალურ ძალას სძენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და საერთო სასამართლოების საქმიანობაში კონსტიტუციის მოთხოვნების გათვალისწინებას და დაცვას უზრუნველყოფს. ... კონსტიტუციური წარდგინების არსი ორ სასამართლო სისტემას შორის თანამშრომლობაა კონსტიტუციური ღირებულებების დასაცავად, სადაც საერთო სასამართლოები კონკრეტული სამართალწარმოების მაგალითზე ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას და საკონსტიტუციო სამართალწარმოების ინიცირებას, საკონსტიტუციო სასამართლო კი უზრუნველყოფს სადავო ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასებას და კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში არაკონსტიტუციური ნორმის გაუქმებას”.¹⁴⁵

კონსტიტუციო წარდგინებაზე საუბრისას, ფორმალურ საფუძველთან ერთად, მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირეულ საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. ასე მაგალითად, კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის “გ” ქვეპუნქტში გამოყენებულია ტერმინი - “საფუძვლიანი ვარაუდი”, რომელსაც უნდა ემყარებოდეს კონსტიტუციური წარდგინების ავტორი სადავოდ ნორმის გასაჩივრებისას. აღნიშნული სტანდარტის შინაარსობრივ განმარტებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საქმის განმხილველი მოსამართლის პერსპექტივიდან, ვინაიდან სწორედ მან უნდა შეაფასოს კონკრეტული საქმის განხილვის ფარგლებში თუ რამდენად არსებობს საკმარისი სამართლებრივი არგუმენტები კონსტიტუციური წარდგინებისთვის. სტანდარტის მნიშვნელობის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების განხილვისას ეს საკითხი ცალკე არასოდეს განუხილავს და არ უმსჯელია იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებდა წარდგინება კანონის აღნიშნულ მოთხოვნას. სასამართლომ ხსენებული სტანდარტის ფარგლებში არა მხოლოდ გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურობაზე უნდა იმსჯელოს არამედ ისიც უნდა დაასაბუთოს, თუ რა არსებითი გავლენა ექნებოდა საქმის შედეგზე სადავო ნორმის არარსებობას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან წარდგინების შესახებ მსჯელობისას “საფუძვლიანი ვარაუდის” მსგავსი დაბალი

145 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის #3/1/608, 609 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის “ზ” ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. II - 5, 6. (ელექტრონულად ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/mc0r0>, 15.06.2023)

სტანდარტით შეფასება აზიანებს თავად ამ მექანიზმის შინაარსსა და დანიშნულებას¹⁴⁶. კონსტიტუციური წარდგინება გამოირჩევა იმითაც, რომ მის ავტორს არ შეუძლია უარი თქვას მის განხილვაზე და მოითხოვოს საქმის შეწყვეტა. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: “საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შემტანი საერთო სასამართლო ან/და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა”. კონსტიტუციური წარდგინებისადმი კანონმდებლის განსხვავებული მიდგომა, შეიძლება იმით აიხსნას, რომ სამართალშემფარდებელ საერთო სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რეალური შესაძლებლობა აქვს, დაინახოს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას.¹⁴⁷ ასევე, კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა საქმის განხილვის შეჩერებას იწვევს, რაც გათვალისწინებულია, როგორც “საერთო სასამართლოების შესახებ” ასევე “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონებით. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ერთ-ერთი უკანასკნელი ცვლილების მიხედვით, კონსტიტუციურ წარდგინებაში შეიძლება მიეთითოს მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები (მუხლი 31.2).

რაც შეეხება თავად წარდგინების განხილვასა და გადაწყვეტის წესს, იგი რეგულირდება “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინება, როგორც განმწესრიგებელ, ისე არსებითი განხილვის ფორმატში, განიხილება წარდგინების ავტორისა და იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც გახდა დავის საგანი.

ამასთანავე, “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 313 მუხლის პირველ პუნქტი ამომწურავად ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რის გამოც შეიძლება კონსტიტუციური წარდგინება არ იქნეს განსახილველად მიიღებული, კერძოდ თუ:

- იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის 31^ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
- იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ;
- მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;
- მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა ამ კანონის 21^ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით;
- არასაკმატო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა;
- სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მალლა მდგომი იმ

146 ლოლაძე ბ., სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, უგრეხელიძე მინდია, ქანთარია ბექა (რედ.), კონსტიტუციონალიზმი. მიღწევები და გამოწვევები, თბილისი 2019, გვ. 529

147 ქსოვრელი, ირაკლი, საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2, 2019, გვ. 50-52.

ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.


კონსტიტუციური წარდგინებების სტატისტიკაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის შესაძლებლობა საერთო სასამართლოებისათვის მოქმედი კონსტიტუციის პირველსავე რედაქციაში იქნა გათვალისწინებული. თუმცა, მიუხედავად კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობისა და იმ დადებითი ეფექტისა, რომელიც მან შეიძლება იქონიოს როგორც ერთი კონკრეტული დავის მონაწილე პირების სამართლებრივ მდგომარეობაზე, ასევე მთლიანად მართლმსაჯულებისა და საკანონმდებლო სივრცეზე, ამ მექანიზმით სარგებლობა საერთო სასამართლოების ისტორიაში ყოველთვის ერთნაირი აქტუალურობით არ ხასიათდება. საერთო სასამართლოს პირველი კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში 1997 წელს 5 მაისს დარეგისტრირდა, ამ დღიდან 7 წლის გასვლის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოში წელიწადში 2 კონსტიტუციური წარდგინება რეგისტრირდებოდა. სამწუხაროდ, ეს ინსტიტუტი 2004 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში გამოუყენებელი დარჩა.¹⁴⁸

საანგარიშო პერიოდში (2013 წლის პირველი იანვრიდან, 2023 წლის 27 მაისამდე) საერთო საერთო სასამართლოების მიერ სულ 69 კონსტიტუციური წარდგინება იქნა გაკეთებული. გასული 10 წლის მანძილზე კი კონსტიტუციური წარდგინებების განსაკუთრებული კონცენტრაცია 2016 წელს დაფიქსირდა. ამ წელს საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის რიცხმა ჯამში – 42 შეადგინა, საიდანაც - 36, ნარკოტიკულ დანაშულებს შეეხებოდა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოძახილს წარმოადგენდა.¹⁴⁹ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი დრამატული ზრდა კონკრეტული საკითხის ირგვლივ შესაძლოა იმაზეც მიუთითებდეს, რომ საერთო სასამართლოები თავს არიდებენ კანონის კონსტიტუციის შესაბამისად განმარტებას და ყოველ ჯერზე ამ საკითხის გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ.

სულ რეგისტრირებული	69
გადაწყვეტილება	7
საოქმომ ჩანაწერი	19
განჩინება (არსებითად მიღებაზე უარის თქმა)	17

¹⁴⁹ იქვე, გვ.16.


კონსტიტუციური წარდგინებები 2013-2023



როგორც გრაფიკული გამოსახულებიდანაც ჩანს, საანგარიშო პერიოდში შესული 69 კონსტიტუციური წარდგინებიდან მხოლოდ 19 იქნა არსებითად განსახილველად მიღებული (გადალახა გამწესრიგებელი, საიდანაც 7-ზე იქნა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.¹⁵⁰

კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ყველა ინსტანციის სასამართლოს აქვს, თუმცა არსებულ გამოცდილებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად ამ ინსტრუმენტით საქართველოს უზენაესი სასამართლო სარგებლობს.

კონსტიტუციური წარდგინებები სასამართლოს მიხედვით



9 რეგისტრირებული წარდგინებიდან ყველაზე მეტი - 50 საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეკუთვნის, სიაში შემდეგ 4-4 წარდგინებით ბოლნისის რაიონული სასამართლო, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო და თბილისის სააპელაციო სასამართლო მოდის. 3 წარდგინება აქვს გაკეთებული თბილისის საქალაქო სასამართლოს. ხოლო დანარჩენი 4 წარდგინება რუსთავის, ბათუმის და თელავის საქალაქო სასამართლოებს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ეკუთვნის.

რაც შეეხება, უშუალოდ ამ წარდგინებების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, 7

150 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდი - <https://bit.ly/3teVl4Y>

გადაწყვეტილებიდან 3-3 თეთრინყაროს რაიონულ სასამართლოზე და საქართველოს უზენაეს სასამართლოზე მოდის, ხოლო 1 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზეა მიღებული.

როგორც უკვე აღინიშნა, წარდგინებების უდიდესი ნაწილი ნარკოტიკულ დანაშაულებს შეეხებოდა და მათი ინსპირაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 24 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება იყო. ზოგადად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სისხლის სამართლებრივი დევნა ადამიანის უფლებებში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 69 წარდგინებიდან 65 სისხლის სამართლის მატერიალურ თუ საპრეცესო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოდის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებულ სახელმწიფოში ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის პრეზუმფცია მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიაა. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი საზოგადოების განვითარების პარალელურად, შესაძლოა გაჩნდეს კითხვები ამ საზოგადოებაში მოქმედი სამართლის კონსტიტუციასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით და ამ პროცესში მართლმსაჯულების განმახორციელებლებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ. მოსამართლეები, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში, ყოველდღიურ რეჟიმში არაერთი საკანონმდებლო ნორმის მოქმედების ფარგლებს, შინაარსსა და შედეგებს აკვირდებიან, აფასებენ მათ შესაბამისობას ადამიანის უფლებებთან. ამ პროცესში კონსტიტუციური წარდგინება მოსამართლეებისათვის ის საიმედო დასაყრდენია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თავი დაიხვეწონ არაკონსტიტუციური (იქნება ეს ბუნდოვანი, განუჭვრეტელი თუ სხვა მიზეზით არაკონსტიტუციური) ნორმების გამოყენებისგან და ამდენად შეამცირონ არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების ალბათობა.

კონსტიტუციური წარდგინება არც თვითმიზნური ინსტრუმენტია და არც სამოსამართლო საქმიანობის დამოუკიდებლობის მბოჭავი მარწუხი, იგი საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციურ ჩარჩოში განხორციელების გარანტორია.

მოსამართლის აცილება

სამაჩთღებხივი საფუძვლების ანაღიზი

საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია იცავს სამართლიანი განხილვის (სასამართლოს) უფლებას, რაც თავის თავში კანონის საფუძვლებზე შექმნილი *დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი* სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლებას გულისხმობს. სწორედ ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობის ინსტრუმენტად შეგვიძლია დავინახოთ აცილების/თვითაცილების (თვითგანრიდების) უფლება, რომელმაც მხარეების, ასევე გარე დამკვირვებლის აღქმაში უნდა უზრუნველყოს საქმის მიუკერძოებელი განხილვა.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის მე-2 პრინციპის, მიუკერძოებლობის მიხედვით - *მოსამაჩთღის მიუკერძოებღობა მის მიეხ თავისი მოვადეღობების ჯეხოვნად შესხუღების აუციღებელი პიხობაა. ის ჯეცეღებღა ახა მხოღღეღ გამოღანიღი გაღაწყვეღიღების შინაახსზე, ახამეღ იმ პხოცესზეღ, ხომეღიღ წინ უძღვის გაღაწყვეღიღების მიღებღს.*

აღნიშნულ პრინციპი გულისხმობს, რომ *მოსამაჩთღემ უნდა აიციღოს საქმე იმ შემთხვევაში, თუ მისთვის შეუძღებღია საქმეზე მიუკერძოებელი გაღაწყვეღიღების მიღებღა, ან, იმ შემთხვევაში,*

ხოდესაც ობიექტუხ დამკვიზვებელს შესაძლოა, გაუჩნდეს ეჭვი, ხომ მოსამართლეს შეუძლია საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.

მოსამართლემ შეიძლება ისარგებლოს აცილების/განრიდების მექანიზმით, თუკი¹⁵¹:

- მოსამართლეს რომელიმე მხარის მიმართ ჩამოუყალიბდა რეალურად მიკერძოებული ან წინასწარ შექმნილი (აკვიატებული) დამოკიდებულება, ან მისთვის საკუთარი წყაროებიდან ცნობილი გახდა რაიმე სახის მტკიცებულებითი ხასიათის ფაქტები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;
- დავის იმავე საგნის განხილვაში მოსამართლე ადრე მონაწილეობდა როგორც ადვოკატი, ან მიწვეული იყო როგორც მნიშვნელოვანი მოწმე;
- მოსამართლეს ან მისი ოჯახის წევრებს აქვთ მატერიალური ინტერესი განსახილველი საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ბანგალორის პრინციპების მიხედვით, „საქმის განხილვიდან მოსამართლის ჩამოცილება შეიძლება არ განხორციელდეს ისეთ შემთხვევაში, თუკი ამ საქმის განსახილველად ვერ დაინიშნება ვერანაირი სხვა სასამართლო განხილვა, ან, საქმის სასწრაფოდ განხილვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მისი გადაწყვეტის დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული სასამართლო შეცდომა.“¹⁵²

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს მოსამართლეთა აცილებისა და თვითაცილების საფუძვლებს, ხოლო „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში თვითაცილების ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი - **თვითგანხილება**.

ტერმინებს შორის არსებულ სხვაობასთან ერთად, დასახელებულ საკანონმდებლო აქტებში მოსამართლის საქმიდან აცილებისა და თვითაცილების (თვითგანრიდების) განსხვავებულ საფუძვლებს ვხვდებით. თუკი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლის საქმიდან ჩამოცილების/თვითაცილების უფრო მრავალრიცხოვან საფუძველს ადგენს, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის სულ 2 ასეთი საფუძველი არსებობს.

კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, კერძოდ, თუ ის:

- ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
 - ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
 - გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
 - დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში ;
 - ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.
- კანონის მიზნებისთვის ნათესავად ითვლებიან:

- ა) მეუღლე;
- ბ) დანიშნული;

გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;

დ) და-ძმა;

ე) დისშვილები და ძმისშვილები;

ვ) მშობლების და-ძმები;

ზ) დანათესავებულები (მოყვრები);

თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი

აღნიშნული საფუძვლებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც, მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი (მუხლი 32).

ანალოგიურად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუკი:

ა) კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;

ბ) ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;

ბ1) ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;

გ) არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;

დ) ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;

დ1) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;

ე) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოების არსებობის შემთხვევაში, მან დაუყოვნებლივ უნდა გააკეთოს თვითაცილების შესახებ განცხადება სასამართლოს თავმჯდომარესთან. ამასთანავე, თვითაცილების შესახებ განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული (მუხლი 62).

მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი, ითვლება დისციპლინურ გადაცდომად („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75¹).

როგორც უკვე აღინიშნა, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილების/თვითგანრიდების შედარებით მცირე ჩამონათვალს ადგენს. კერძოდ, ამავე კანონის 46-ე მუხლის მიხედვით, მხარეს უფლება აქვს საქმის განმხილველი საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დააყენოს საკითხი საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის აცილებაზე თუ:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია;

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიუკერძოებლობაში.

ამ საფუძვლებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს განერიდოს საქმის განხილვაში მონაწილეობას. საქმის განხილვიდან მოსამართლის აცილების ან თვითგანრიდების შესახებ განცხადება დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა (მუხლი 46).


აცილების საფუძვლები პრაქტიკაში და შესაბამისი შუამდგომლობების სტატისტიკა

2013 წლიდან 2023 წლის მაისამდე საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმიდან მოსამართლის აცილების/თვითგანრიდების სულ 11 შემთხვევაზე მიიღო განჩინება, საიდანაც სამი ერთსა და იმავე საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები - გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ლლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელები N740 და N764), მოდის.

აღნიშნული სამი შემთხვევიდან ერთი უკავშირდებოდა N740 და N764 კონსტიტუციურ სარჩელებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის - ლალი ფაფიაშვილის თვითგანრიდებას.¹⁵³, მეორე - N740 და N764 კონსტიტუციურ სარჩელებზე მოპასუხე მხარის საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების - თამარ მესხიას და ზვიად ბრეგაძის შუამდგომლობებს მოსამართლეების - ქეთევან ერემაძისა და კონსტანტინე ვარძელაშვილის აცილების შესახებ.¹⁵⁴ და მესამე - N740 კონსტიტუციურ სარჩელზე მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - მერაბ ტურავას და ოთარ სიჭინავას აცილების თაობაზე.¹⁵⁵

საანგარიშო პერიოდში საქმის განხილვიდან მოსამართლის აცილების/თვითგანრიდების შესახებ მიღებული 11 განჩინებიდან 3-3 მოსარჩელისა და მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზეა მიღებული, ხოლო 5 - თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიერ თვითგანრიდების შესახებ გაკეთებული მიმართვის.

აცილებების/თვითაცილების რაოდენობა ავტორების მიხედვით



აქვე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესიდან მოსამართლის აცილების/თვითგანრიდების შესახებ მიღებული 11 განჩინებიდან, მხოლოდ 4 მათგანით მოხდა შუამდგომლობის დაკმაყოფილება და 4-ვე მათგანი მოსამართლეთა მიერ თვითაცილების შესახებ დაკეთებულ შუამდგომლობებს ეფუძნება (რომელთა შესახებაც შემდგომ თავში უფრო დანვრებით იქნება მსჯელობა).

იმ განჩინებებიდან, რომელთა საფუძველზეც არ მოხდა მოსამართლის საქმიდან აცილება/თვითგანრიდება, განსაკუთრებით საყურადღებოა მოსამართლეების: ევა გოცირიძის და გიორგი კვერენჩხილაძის საქმიდან აცილების შესახებ დაყენებული შუამდგომლობების საფუძველზე მიღებული განჩინებები.

პირველ შემთხვევაში, ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ სადავოდ ხდიდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/308 გადაწყვეტილების კონკრეტულ დებულებას.

მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, მართალია სადავოდ გამხდარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/308 გადაწყვეტილება 2009 წლის 9 ოქტომბერს იყო მიღებული, თუმცა *უშუალოდ სადავო ნოჩმა* დასახელებულ აქტს დაემატა მასში 2014 წლის 24 სექტემბერს შესული ცვლილების შედეგად. მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, ამ დროისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ევა გოცირიძე იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და შესაძლოა, მას უშუალოდ ჰქონოდა მიღებული მონაწილეობა სადავო ნორმის მიღების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ მითითებულ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ევა გოცირიძე ნამდვილად იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და მას უშუალოდ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა სადავო ნორმის მიღების პროცესში როგორც მისი განხილვის, ისე კენჭისყრის ეტაპზე, ასევე თავად მოსამართლე ეთანხმებოდა მოსარჩელე მხარის პოზიციას, სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ამდენად სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას თან ერთვის მოსამართლე ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი.¹⁵⁶

მეორე განჩინება, რომლითაც ასევე არ დაკმაყოფილდა მოსამართლის საქმიდან აცილების მოთხოვნა შეეხება №1693 და №1700 კონსტიტუციურ სარჩელებზე მოპასუხე მხარის – საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობას მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის აცილებას.

№1693 და №1700 კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ გამხდარი ნორმები აწესრიგებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს.

როგორც საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობიდან ირკვევა, ერთ-ერთმა მოსარჩელემ - ქეთევან მესხიშვილმა, აღნიშნულ საქმეებში დავის საგნად ქცეული საკანონმდებლო ცვლილებების პარლამენტში ინიცირებისთანავე, 2021 წლის 28 დეკემბერს საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსი, სადაც მიუთითებდა, რომ ინიცირებული კანონპროექტი „მოსამართლეების შესუსტების, მათი დაშინებისა და კრიტიკული აზრის გამოხატვის შეზღუდვის მცდელობას ჰგავს“. იქვე დასძინა, რომ „სამწუხაროდ, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული თავისუფალი სასამართლოს შექმნის მიზანი ასე არ მიიღწევა“. აღნიშნულ ფეისბუქ-სტატუსზე დადებითი (გულის სახით) რეაქცია გამოხატა მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძემ.

156 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის N1/1/1334 განჩინება საქმეზე - ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ. (ელექტრონულად ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/m6re6>, 15.06.2023).

„საქართველოს პარლამენტის პოზიციით, მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძის ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მოსარჩელე ქეთევან მესხიშვილის მიერ გამოხატული უარყოფითი შეფასების გაზიარება და იმ საკანონმდებლო ცვლილებებისადმი ნეგატიური პოზიციის გამოხატვა, რომელიც შემდგომში იქცა კანონად და რომლის კონსტიტუციურობის შეფასებაშიც მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძემ უნდა მიიღოს მონაწილეობა როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს არ ქმნის მისი და მოსარჩელეთა მეგობრობა სოციალურ ქსელში. საქართველოს პარლამენტისათვის პრობლემურია ის გარემოება, რომ მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძემ ღიად და საჯაროდ, ამჟამად მისი განხილვის საგნად ქცეული საკანონმდებლო აქტის ნორმების მიმართ გამოხატა ცალსახად უარყოფითი პოზიცია, რაც ქმნის დადასტურებულ ეჭვს მისი მიუკერძოებლობის შესახებ და რომელიც აისახება მიმდინარე სამართალწარმოების პროცესზე.“¹⁵⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ დააკმაყოფილა პარლამენტის წარმომადგენლის შუამდგომლობა და განმარტა, რომ „ მოპასუხე მხარის შიშები, მოსამართლის მიუკერძოებლობის შესახებ, არ არის ობიექტურად გამართლებული. კერძოდ, მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძის მიერ სოციალურ მედიაში მოსარჩელე ქეთევან მესხიშვილის პოსტის ქვეშ გაკეთებული რეაქცია (გულის სახით), ისევე როგორც თავად მოსამართლის სუბიექტური დამოკიდებულება აღნიშნული გარემოებების მიმართ, არ წარმოშობს დასაბუთებულ ეჭვს სადავო ნორმების კონსტიტუციურობის გადაწყვეტის პროცესში მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მოპასუხე მხარეს შუამდგომლობაში არ მიუთითებია სხვა რაიმე გარემოებაზე, რომელიც მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი გახდებოდა.“¹⁵⁸

აღნიშნული შემთხვევა იმითაც არის გამორჩეული, რომ აღნიშნული შუამდგომლობის შესახებ საჯარო განცხადებები გაკეთდა პოლიტიკური ტრიბუნიდანაც.¹⁵⁹

თვითგანხილების პრეცედენტები

მოსამართლეთა თვითგანრიდების შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ მიღებული განჩინებებიდან 3 საქართველოს სახალხო დამცველის მიერ №1459 და №1491 კონსტიტუციური სარჩელების განხილვაში მონაწილე მოსამართლეების ინიცირებულია.

პირველი განჩინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 27 ნოემბერს მიიღო. N3/1/1459 განჩინებით სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ზაზა თავაძისა და მაია კოპალეიშვილის შუამდგომლობები №1459 კონსტიტუციური სარჩელის განხილვიდან თვითგანრიდების შესახებ.

№1459 კონსტიტუციურ სარჩელში სახალხო დამცველი სადავოდ ხდიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ დებულებებს, რომლებიც ადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ, საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს.

თვითგანრიდების ავტორთა განმარტებით, ის გარემოება, რომ, როგორც კანდიდატები, ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევ პროცედურაში, შესაძლოა, მიჩნეული იქნეს იმ ლეგიტიმურ საფუძველად, რომელიც, გონივრული შეფასების პირობებში, შექმნის ეჭვებს ან აღქმას, რომ ისინი კონკრეტული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში, ვერ იქნებოდნენ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. შესაბამისად, ნებისმიერი ობიექტური გარემოება,

რომელსაც შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა საზოგადოების თვალში მოსამართლეთა მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის საკითხი, მოითხოვდა ადეკვატურ რეაგირებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის აცილებისათვის „აუცილებელია იმგვარ გარემოებათა არსებობა, რომელიც ობიექტური ადამიანისთვის იქნებოდა მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 დეკემბრის №3/7/679 განჩინება საქმეზე „შპს სამაუნცებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12). შესაბამისად, მოსამართლე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის საჯარო პროცედურაში ამ პროცესის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისას, შესაძლოა ობიექტური პირის მიერ აღქმული ყოფილიყო მიუკერძოებულად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს შეფასებით ეს მოსამართლეები კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას ვერ ისარგებლებდნენ საზოგადოების სათანადო ნდობით, ამასთან, მათი მიუკერძოებლობის ან დამოუკიდებლობის შესახებ იარსებებდა ობიექტური ეჭვები, სწორედ ამიტომ არსებობდა მოსამართლეთა თვითგანრიდების შუამდგომლობის დაკმაყოფილების კანონიერი საფუძველი.¹⁶⁰

ანალოგიური საფუძველით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ზაზა თავაძემ №1491 კონსტიტუციური სარჩელის განხილვიდან თვითგანრიდების შესახებ. ამ საქმეშიც, სახალხო დამცველის მიერ სადავოდ იყო გამხდარი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ის დებულებები, რომლებიც ადგენდნენ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს. შესაბამისად, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც გაიზიარა მოსამართლის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მისი როგორც კანდიდატის უშუალოდ მონაწილეობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევ პროცედურაში, შესაძლოა, მიჩნეულ ყოფილიყო იმ ლეგიტიმურ საფუძველად, რომელიც, გონივრული შეფასების პირობებში, შექმნიდა ეჭვებს ან აღქმას, რომ მოსამართლე კონკრეტული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში ვერ იქნებოდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და დააკმაყოფილა შუამდგომლობა.¹⁶¹

და მესამე შუამდგომლობა, რომელიც უკვე ამ ორივე სარჩელის გაერთიანებული წარმოებიდან მოსამართლის თვითგანრიდებას შეეხებოდა მოსამართლე ვასილ როინიშვილს ეკუთვნის. მისი განმარტებით, მართალია, მან უარი განაცხადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობაზე და, შესაბამისად, აღნიშნული პროცედურის მიმართ არ გააჩნდა სუბიექტური დაინტერესება, თუმცა მხედველობაში იღებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას და მიიჩნევდა, რომ საქმის განხილვაში მის მონაწილეობას შესაძლოა, ობიექტურ დამკვირვებელში გაეჩინა ეჭვები მისი, როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობაც, ისევე როგორც წინა ორ შემთხვევაში, დასაბუთებულად მიიჩნია და დააკმაყოფილა ის.¹⁶²

და ბოლოს, მე-4 შემთხვევა, როდესაც სასამართლომ გაიზიარა მოსამართლის პოზიცია თვითგანრიდების თაობაზე, შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის - თამაზ ცაბუტაშვილის შუამდგომლობას N1247, N1299, N1229 და N1242 კონსტიტუციური სარჩელების განხილვიდან თვითგანრიდების შესახებ. შუამდგომლობის მიხედვით, 2018 წლის 28 მაისს, N1242 კონსტიტუციურ სარჩელზე მოსარჩელე გია ფაცურიასა და მოსამართლე თამაზ ცაბუტაშვილს შორის ერთ-ერთ სოციალურ ქსელში მოხდა არასასიამოვნო ინციდენტი და მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ერთმანეთს.

როგორც თავად მოსამართლე თამაზ ცაბუტაშვილი განმარტავდა, აღნიშნული ინციდენტის

გამო მას და მოსარჩელე ფაცურიას შორის არსებობდა უარყოფითი, ერთგვარად, არასასიამოვნო, კონფლიქტური ურთიერთობა. მისივე თქმით, შესაძლო იყო აღნიშნულ გარემოებას საფრთხე შეექმნა მისი მხრიდან, N1242 კონსტიტუციური სარჩელის სრულიად ობიექტურად განხილვისა და გადაწყვეტისათვის. ამასთან, ასეთ პირობებში მოცემული საქმის განხილვაში მის მონაწილეობას შეიძლებოდა საზოგადოების უნდობლობა გამოეწვია აღნიშნულ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსამართლე თამაზ ცაბუტაშვილსა და მოსარჩელე გია ფაცურიას შორის მომხდარი არასასიამოვნო ინციდენტს შეეძლო ხელს შეეშალა მოსამართლე თამაზ ცაბუტაშვილისთვის, საქმის გადაწყვეტისას ყოფილიყო სათანადოდ ობიექტური და მიუკერძოებელი. ამასთანავე, აღნიშნული ინციდენტის გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა მიეღოთ საზოგადოების მხრიდან ამ საქმეზე მოსამართლე თამაზ ცაბუტაშვილის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფრთხე. შესაბამისად, განსახილველ საქმეზე არსებობდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსამართლის საქმის განხილვიდან განრიდების საფუძველი.¹⁶³

დისციპლინური სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონითა და საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით. აღნიშნული საკანონმდებლო აქტები ჩამოთვლის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებს და განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის შექმნისა და საქმიანობის პროცედურებს.

ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის დაკომპლექტება

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია რეგლამენტით განსაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და კონსტიტუციური სამართალწარმოების სხვა წესები.¹⁶⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, იქმნება საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისა და პლენუმისათვის შესაბამისი დასკვნის, დადგენილების პროექტის წარდგენის მიზნით. თავის მხრივ, კომისიის შემადგენლობას წარადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.¹⁶⁵ კომისია შედგება სამი წევრისგან, რომელშიც უნდა იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განწესებული თითო მოსამართლე. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.¹⁶⁶ ეთიკისა და დისციპლინურ

164 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

165 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.

166 იქვე, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

საქმეთა კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც კომისიის წევრების მიერ კომისიის შემადგენლობიდან აირჩევა. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი, არაუმეტეს მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, პლენუმი, თავმჯდომარის წარდგინებით, კომისიის წევრად ნიშნავს იმავე ან სხვა მოსამართლეს.¹⁶⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტის საფუძვლები

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი ჩამოთვლის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საფუძვლებს. კერძოდ, ასეთი საფუძვლებია:

- ა) ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაკმარისი მიზეზით საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობა;
- ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის განხორციელება;
- გ) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსის ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიციის გამჟღავნება;
- დ) მოსამართლისთვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა;
- ე) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- ვ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
- ზ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- თ) გარდაცვალება;
- ი) თანამდებობიდან პირადი ნებით გადადგომა.

საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მიხედვით, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისთვის ცნობილი გახდა, ინფორმაცია, რომელიც აჩენს გონივრულ ეჭვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლის არსებობის შესახებ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გადასცემს საკითხს შესასწავლად ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიას და ინვესტს პლენუმის სხდომაზე.

„ა“-„დ“ საფუძვლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისია ამზადებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილების პროექტს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილებით, რომელიც მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხოლო, „ე“-„ი“ საფუძვლების შემთხვევებში კომისია ამზადებს დასკვნას. ე“-„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი რეგლამენტი დადგენილი წესით ამოწმებს მისთვის წარდგენილ საბუთებს და მათში აღნიშნული ფაქტების

167 იქვე, მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი.

დადასტურების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე განკარგულებით აფორმებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა

რეგლამენტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ კომისიისთვის საკითხის გადაცემისას უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც აჩენს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლის არსებობის გონივრულ ეჭვს და მიაწოდოს შესაბამისი მასალები. რეგლამენტი განსხვავებულ წესს ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული საკითხის ინიცირების უფლებამოსილება გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უხუცეს მოადგილეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართვიდან 10 დღის ვადაში ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია შეისწავლის საკითხს და პლენუმს წარუდგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილების პროექტს ან დასკვნას. იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ინიცირებულია ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის წევრის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ საკითხის განხილვის დამთავრებამდე, ბრძანებით შეაჩერებს მის წევრობას კომისიაში და შესაბამისი საკითხის განხილვის ვადით ნიშნავს კომისიის ახალ წევრს. კომისიის წევრები უფლებამოსილი არიან, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მიიღონ ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოდან, ფიზიკური და იურიდიული პირისაგან, მოიწვიონ სპეციალისტები საქესპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად.

კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება მინიმუმ ორი წევრი, ხოლო გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება კომისიის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა. კომისიის წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კომისიის წევრები ცალ-ცალკე ამზადებენ დადგენილების პროექტს/დასკვნას და წარუდგენენ საკონსტიტუციო სასამართლოს¹⁶⁸.

„ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურა არ შეიძლება დაიწყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლის არსებობის გონივრული ეჭვის დამადასტურებელი ინფორმაციის შეტყობის მომენტიდან 3 თვის გასვლის შემდეგ.

პლენუმის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესი

ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის მიერ დასკვნის/ან დადგენილების პროექტის მომზადების შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. პლენუმის სხდომა მოიწვევა კომისიისათვის საკითხის შესასწავლად გადაცემიდან არაუადრეს 10 და არაუგვიანეს 30 დღისა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ 6 წევრი. საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ დახურულ სხდომაზე განიხილება, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრის მოთხოვნის შემთხვევაში, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც განიხილება, პლენუმი უფლებამოსილია საკითხი ღია სხდომაზე განიხილოს. საკითხის განხილვისას იმ წევრს, რომლის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც განიხილება უფლება აქვს საკუთარი პოზიციით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების წესს, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი კომისიის მიერ წარმოდგენილ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილების პროექტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ პლენუმის სხდომის მოწვევიდან 30 კალენდარული დღის ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, დადასტურებულად ჩაითვლება მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლის არარსებობა. ამასთან, დაუშვებელია იმავე ფაქტობრივი გარემოებებზე მითითებით მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განმეორებით აღძვრა.

პლენუმის დადგენილება, რომლის საფუძველზეც ხდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, ღიაა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამართული თათბირის არსის ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიციის შესახებ ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, დადგენილება დაიხუროს სრულად ან ნაწილობრივ. ხოლო, პლენუმის დადგენილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ დახურულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი თავისი ინიციატივით ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრის მოთხოვნით, რომელსაც შეეხება დადგენილება, მიიღებს გადაწყვეტილებას დადგენილების ღიაობის შესახებ.

მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

რეგლამენტის თანახმად, ეთიკისა და დისციპლინურ სამეთა კომისია ასევე განიხილავს მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების, დაპატიმრების თანხმობის საკითხებზე.

მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების, დაპატიმრების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსათვის უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ იწვევს პლენუმის სხდომას, გადასცემს მიმართვას და თანდართულ მასალებს ეთიკისა და

დისციპლინურ საქმეთა კომისიას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს. იმ შემთხვევაში, თუ მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეეხება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

კომისია მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე 24 საათის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს წარუდგენს დასკვნას. კომისიის მიერ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება იმავე პროცედურით რაც გათვალისწინებულია მოსამართლეთა თანამდებობის ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვისთვის. მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა უნდა მიიღოს მიმართვის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში.

პლენუმი სხდომაზე განიხილავს კომისიის დასკვნას რადროსაც უფლებამოსილია მოისმინოს მიმართვის შემტანი ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს და მოსამართლეს, რომელსაც შეეხება მიმართვა, აგრეთვე მის ადვოკატს ან სხვა წარმომადგენელს. თუ საკითხის განხილვის დროს მოსამართლე დაკავებული ან დაპატიმრებულია, პლენუმი უფლებამოსილია, სამართალდამცავ ორგანოებს მოსთხოვოს მისი პლენუმის სხდომაზე მოყვანა.

პლენუმი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების თაობაზე თანხმობის დადგენილების მიღების საკითხს წყვეტს ღია კენჭისყრით. მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების, დაპატიმრების თანხმობის შესახებ დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის არანაკლებ 6 წევრი. თუ ამ პუნქტში აღნიშნულმა დადგენილებამ ვერ მიიღო ხმების საკმარისი რაოდენობა, ფორმდება დადგენილება მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავებასა ან/და დაპატიმრებაზე უარის თქმის შესახებ.

ახსებული პრაქტიკა, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგები და გამოწვევები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე 2012-2022 წლებში დაკომპლექტებული იყო შემდეგი შემადგენლობით:

წელი	წევრები
2015 წლის 15 სექტემბერი	თამაზ ცაბუტაშვილი, ლალი ფაფიაშვილი, მაია კოპალეიშვილი
2016 წლის 15 დეკემბერი	თეიმურაზ ტულუში, მერაბ ტურავა, ირინე იმერლიშვილი
2017 წლის 29 დეკემბერი	ირინე იმერლიშვილი, მერაბ ტურავა, თეიმურაზ ტულუში
2021 წლის 21 ოქტომბერი	ევა გოცირიძე, გიორგი თევდორაშვილი, ხვიჩა კიკილაშვილი

სამწუხაროდ, სასამართლოსთვის არაერთხელ მიმართვის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მოგვანოდა ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვინ იყო/არის კომისიის თავმჯდომარე და რა საფუძვლებით მოხდა კომისიის წევრთა ცვლილება. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის არც საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე, შესაბამისად, უცნობია ვინ არიან/იყვნენ კომისიის თავმჯდომარეები, როდის და რა საფუძვლით მოხდა მათი ცვლილება.

სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2012-2022 წლებში მოსამართლის ხელშეუხებლობის საკითხი არ გამხდარა ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის მსჯელობის საგანი. ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიის მიერ რამდენჯერმე მოხდა ინფორმაციის გამოკვლევა საკითხის შესწავლის მიზნით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით არ მიღებულა.

სამწუხაროდ, სასამართლომ არაერთი მიმართვის მიუხედავად არ მოგვანოდა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენი საქმე განიხილა კომისიამ, ასევე თითოეულ შემთხვევაში რა ინფორმაცია დაედო საფუძვლად დისციპლინური თუ მოსამართლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით სამართალწარმოების დაწყებას რა დასკვნები/დადგენილების პროექტები მოამზადა კომისიამ.

ხაზგასასმელია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისგან განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ კანონმდებლობა არ შეიცავს დისციპლინური სახდელის სახეებს. მაგალითად, საკონსტიტუციო საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მოსამართლისთვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა. არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე პრობლემურია ის, რომ, ნებისმიერი ასეთი ქმედება გახდება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი, რადგან კანონმდებლობამცირე მნიშვნელობის გადაცდომისთვის სასამართლოს წევრებს უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელის დაკისრებას არ ითვალისწინებს. ამდენად, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა დაიხვეწოს და ცხადად ჩამოყალიბდეს დისციპლინური სახდელის სახეები. კანონმდებლობით ასევე არ არის განსაზღვრული კომისიის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტი.

კანონმდებლობა ასევე არ შეიცავს დისციპლინური პასუხისმგებლობის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც დისციპლინირებულ/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტილ მოსამართლეს საკუთარი უფლებების შეზღუდვის შემთხვევაში, გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემდა, როგორც ეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინირების შემთხვევაში ხდება.

დასკვნა

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სამართალწარმოების პროცედურა. აღნიშნულზე გავლენა იქონია როგორც კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, ასევე რეგლამენტის შემუშავებამ და ფორმალური საკითხების მოგვარების მიზნით ელექტრონული სისტემის ადაპტირებამ. რაც მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო კონტროლის დროულად და ეფექტურად განხორციელებისთვის, რათა სრულფასოვნად იქნას დაცული კონსტიტუციის უზენაესობა, კონსტიტუციური კანონიერება და ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

თუმცა, მიუხედავად არაერთი დადებითი ტენდენციისა ასევე თვალსაჩინო გახდა სისტემაში არსებული არსებითი პრობლემები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მთავარ გამოწვევად კვლავ საქმეთა გაჭიანურება რჩება. კვლევაში მოყვანილი მაგალითებიდან აშკარაა, რომ ინსტიტუტი თავს ვერ ართმევს საქმეთა დატვირთვას. მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვნად აფერხებს დაინტერესებულ პირთა უფლებას დაიცვან საკუთარი უფლებები და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მოაქციონ კონსტიტუციურ ჩარჩოში. მრავალი საქმე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ დაგვიანებით განიხილა ან უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაშია წარმოებაში, მოსარჩელეთათვის უკვე არარელევანტურია. შესაბამისად, იგი ვეღარ ასრულებს ინსტიტუტის ძირითად ფუნქციას დროულად და ეფექტურად შებოჭოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება კონსტიტუციური სტანდარტების დაცვით.

საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის დანერგვის შემდგომ გაუმჯობესდა კოლეგიებში საქმეთა განაწილებისა და მომხსენებელ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა. თუმცა, პრობლემატურია ის საკითხიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი ზუსტად არ აყალიბებს მომხსენებელ მოსამართლეთა უფლებამოსილების ამოწურვის, აცილების/თვითგანრიდების ან სხვა კოლეგიაში გადაყვანის შემთხვევაში თუ რა პრინციპით შეირჩევა ახალი მომხსენებელი მოსამართლე. აღნიშნული პროცედურის მკაფიოდ ჩამოყალიბება აუცილებელია საზოგადოებაში პროცესის მიმართ ნდობის ჩამოსაყალიბებლად და საქმეთა დროულად განსახილველად.

პრობლემას წარმოადგენს ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს საქვეყნობა. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს ვალდებულება საჯაროდ გამოქავეყნოს ყველა კონსტიტუციური სარჩელი, წარდგინება, თუ განჩინება, სამწუხაროდ საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე არ იძებნება სარჩელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე ზოგიერთი განჩინება. დაინტერესებული პირისთვის სასამართლო აქტებიდან ხელმისაწვდომი არ არის საქმის პლენუმისთვის გადაცემის მიზნით ინდივიდუალურ მოსამართლეთა და სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შემუშავებული დასაბუთებული შუამდგომლობა ან წინადადება. ხელმისაწვდომია მხოლოდ ამავე მიზნით კოლეგიის მიერ მიღებული განჩინება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შერჩევისას მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული შერჩევის კრიტერიუმები. მიუხედავად იმისა, რომ ორგანული კანონი აყალიბებს ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცედურისგან განსხვავებით, ჩამოყალიბებული არ არის სუბიექტურ კრიტერიუმთა შეფასების წესი. პრობლემურია ასევე პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს და პრეზიდენტის მიერ მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა. პროცესი არ არის გამჭვირვალე და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი. გაუმჯობესებას საჭიროებს ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების პროცესი. კოლეგიებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად აირჩიონ საკუთარი თავმჯდომარე.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური წარდგინება მნიშვნელოვანი მექანიზმია როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე საერთო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად, საქალაქო/რაიონული, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები იშვიათად იყენებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას. შესაბამისად, აუცილებელია მართლმსაჯულების კონსტიტუციურ ჩარჩოში აღსრულების მიზნით გაიზარდოს საერთო სასამართლოს მოსამართლეთა ჩართულობა კონსტიტუციურ პროცესებში.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის დისციპლინური სახდელის სხვადასხვა სახეებს. კერძოდ, არსებული მოწესრიგების საფუძველზე შეიძლება მოსამართლეს მცირე მნიშვნელობის გადაცდომისთვის უფლებამოსილება ვადამდე შეუნყდეს ან გადაცდომისთვის პასუხისმგებლობა საერთოდ არ დაეკისროს. ამასთანავე, არ არსებობს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტი და დისციპლინური პასუხისმგებლობის/ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების საფუძველზე საჭიროა:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დროულად განიხილოს და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს საქმეებზე, რომელიც 2 წელზე მეტია კონსტიტუციურ წარმოებაშია. მათ შორის, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, რომელიც 5 წელზე მეტია განუხილველია, ან შეიძლება მალე დაკარგოს აქტუალურობა მოსარჩელე მხარეთათვის;
- საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელის/წარდგინების შესახებ რაიმე სასამართლო აქტის (საოქმო ჩანაწერის, განჩინების) მიღებამდე გამოაქვეყნოს ინფორმაცია, თუ რომელ კოლეგიაში/პლენუმში განაწილდა საქმე და რომელი წევრი დაინიშნა მომხსენებელ მოსამართლედ;
- დროულად გამოაქვეყნოს ოფიციალურ ვებგვერდზე ყველა რეგისტრირებული სარჩელი/წარდგინება და მიღებული საოქმო ჩანაწერი და განჩინება;
- მომხსენებელ მოსამართლეთა ცვლილების შემთხვევაში, მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ახალი მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნის პროცედურა; მათ შორის გამოქვეყნდეს პლენუმის/კოლეგიის თავმჯდომარის დასაბუთებული რეზოლუცია მომხსენებელი მოსამართლის ცვლილების შესახებ, სადაც მითითებული იქნება რეზოლუციის ნომერი და თარიღი;
- გამოქვეყნდეს ინდივიდუალურ მოსამართლეთა დასაბუთებული შუამდგომლობები და სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებული წინადადებები, რომელიც შეეხება საქმის პლენუმის მიერ განხილვას;
- მკაფიოდ ჩამოაყალიბდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის შერჩევის სუბიექტურ კრიტერიუმთა შეფასების წესი და დაინერგოს კანდიდატთა შერჩევის/დანიშვნის უფრო გამჭვირვალე პროცედურა;
- კოლეგიებს უნდა მიენიჭოს უფრო მეტი ავტონომია საკუთარი თავმჯდომარის დანიშვნის პროცესში;
- საერთო სასამართლოს მოსამართლეებში უნდა წახალისდეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილების გამოყენება;
- ჩამოაყალიბდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის დისციპლინური სახდელის სხვადასხვა სახეები, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტი და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.

დანართი 1

2012-05/2023 წლებში პიხვედი კოდეგიისთვის გადაცემულ საქმეთა განაწილება მომხსენებელ მოსამართლეებზე

2012

<u>523</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>525</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>527</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>529</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>531</u>	ქეთევან ერემაძე
<u>534</u>	ქეთევან ერემაძე
<u>535</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>538</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>539</u>	ქეთევან ერემაძე
<u>541</u>	ქეთევან ერემაძე
<u>543</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>547</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>548</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი

2013

<u>549</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>552</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი

<u>557,571,576</u>	ქეთევან ერემაძე
<u>559</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>561,568</u>	ქეთევან ერემაძე
<u>563</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>564</u>	ქეთევან ერემაძე
<u>566</u>	ქეთევან ერემაძე
<u>569</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი

2014

<u>575</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>576</u>	ქეთევან ერემაძე
<u>578</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>580</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>582</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>586</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>587</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>589</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>590</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>592</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი

<u>594</u>	ქეთევან ერემაძე
<u>596</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>597</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>600</u>	ქეთევან ერემაძე
<u>606</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>607</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>611</u>	ქეთევან ერემაძე
<u>614</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>616</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>618</u>	მერაბ ტურავა

2015

<u>622</u>	მერაბ ტურავა
<u>625,640</u>	ქეთევან ერემაძე
<u>628</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>629,652</u>	მერაბ ტურავა
<u>632</u>	მერაბ ტურავა
<u>638</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>644</u>	მერაბ ტურავა

<u>647</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>650,699</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>651</u>	გიორგი კვერენჩილაძე
<u>655</u>	მერაბ ტურავა
<u>657</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>662</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>664</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>666</u>	მერაბ ტურავა
<u>669</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>671</u>	გიორგი კვერენჩილაძე
<u>673</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>675,681</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>676</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>677</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>679</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>690</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>693,857</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>696</u>	მერაბ ტურავა
<u>697</u>	ლალი ფაფიაშვილი

<u>701,722,725</u>	მერაბ ტურავა
<u>703</u>	მერაბ ტურავა
<u>705</u>	მაია კოპალეიშვილი

2016

<u>711</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>713</u>	მერაბ ტურავა
<u>718</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>720</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>721</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>726</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>727</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>731</u>	მერაბ ტურავა
<u>732</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>733</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>738</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>740</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>742</u>	ლალი ფაფიაშვილი / გიორგი კვერენჩხილაძე
<u>744</u>	მაია კოპალეიშვილი

<u>748</u>	მერაბ ტურავა
<u>752</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>753</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>754</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>757</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>764</u>	კონსტანტინე ვარძელაშვილი
<u>766</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>770</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>780</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>781</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>791</u>	მერაბ ტურავა
<u>809</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>811</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>814</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>823</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>824</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>826</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>828</u>	მაია კოპალეიშვილი

<u>832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849</u>	გიორგი კვერენჩილაძე
<u>851</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>854</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>858</u>	მაია კოპალეიშვილი / გიორგი კვერენჩილაძე
<u>860</u>	მერაბ ტურავა
<u>864</u>	მერაბ ტურავა

2017

<u>870</u>	გიორგი კვერენჩილაძე
<u>874</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>876</u>	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>878</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>880</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>882</u>	გიორგი კვერენჩილაძე
<u>926</u>	ლალი ფაფიაშვილი / ევა გოცირიძე
<u>1209</u>	გიორგი კვერენჩილაძე
<u>1211</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>1215</u>	ლალი ფაფიაშვილი / მაია კოპალეიშვილი / გიორგი კვერენჩილაძე

<u>1217</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1219,1236</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>1226</u>	მერაბ ტურავა
<u>1228</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>1232</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1236</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>1238</u>	მერაბ ტურავა
<u>1241</u>	ლალი ფაფიაშვილი
<u>1243</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1248</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვიჩა კიკილაშვილი
<u>1250</u>	მერაბ ტურავა
<u>1257,1280</u>	მერაბ ტურავა
<u>1259</u>	ლალი ფაფილაშვილი / ევა გოცირიძე
<u>1261</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1263</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>1265,1318</u>	მერაბ ტურავა
1267	ლალი ფაფილაშვილი / ევა გოცირიძე
<u>1271</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1275</u>	მაია კოპალეიშვილი

1278	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>1282</u>	ლალი ფაფილაშვილი / ევა გოცირიძე
<u>1284</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1287</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვონა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1288</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვონა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი

2018

<u>1290</u>	მერაბ ტურავა
<u>1292</u>	ევა გოცირიძე
<u>1294</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1300</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვონა კიკილაშვილი/გიორგი თევდორაშვილი
<u>1302</u>	მერაბ ტურავა
<u>1304</u>	ევა გოცირიძე
<u>1306</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1307</u>	მაია კოპალეიშვილი/ხვონა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1309</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვონა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1310</u>	მერაბ ტურავა
<u>1312</u>	ევა გოცირიძე
<u>1316</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1320</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვონა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი

<u>1324</u>	მერაბ ტურავა
<u>1326</u>	ევა გოცირიძე
<u>1328</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1330</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვიჩა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1334</u>	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>1336</u>	ევა გოცირიძე
<u>1338</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1340</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>1343</u>	მერაბ ტურავა
<u>1345</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვიჩა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1347</u>	ევა გოცირიძე
<u>1350</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1353</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვიჩა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1355</u> <u>/1389</u>	მერაბ ტურავა / გიორგი თევდორაშვილი / ვასილ როინიშვილი
<u>1358</u>	ევა გოცირიძე
<u>1361</u>	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>1364</u>	ევა გოცირიძე
<u>1366</u>	გიორგი კვერენჩხილაძე

<u>1368</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვიჩა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1377</u>	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>1380</u>	ევა გოცირიძე
<u>1383</u>	გიორგი კვერენჩხილაძე

2019

<u>1389</u>	მაია კოპალეიშვილი
<u>1394</u>	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>1402</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1404</u>	მაია კოპალეიშვილი / ევა გოცირიძე
<u>1410</u>	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>1416</u>	ევა გოცირიძე
<u>1418</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1420</u>	მაია კოპალეიშვილი / ხვიჩა კიკილაშვილი / გიორგი თევდორაშვილი
<u>1422</u>	მერაბ ტურავა / ვასილ როინიშვილი
<u>1424</u>	ევა გოცირიძე
<u>1426</u>	გიორგი კვერენჩხილაძე
<u>1429</u>	მაია კოპალეიშვილი / მერაბ ტურავა
